# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 13 ივლისი 2005 №157 (2480)

ფასი 50 თეთრი



## ფედერაცია კლუბებს:

არანაირი 300 000, გვაჩვენეთ შემოსავლები!

3



## არ ვარ მე ის კაცი...

ინტერვიუ ჟოზე მაურინიუსთან

8



## მთას გადავავლოთ თვალი

13

# ტალინიდან ესტონულით

## შეინახეთ დოლ-გარმონი



# გასაყვითლებელი გაყვითლდა

გუშინ, ერთდღიანი შესვენების შემდეგ, „ტურ დე ფრანსი" განახლდა და მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა — ლენს არმსტრონგმა (მარჯვნივ) ყვითელი მაისურა დაიბრუნა.

ეტაპი კი მარცხენა ფოტოზე გამოსახულმა ესპანელმა ალეხანდრო ვალვერდემ მოიგო.

*მეთოთხმეტე გვერდი*






AFP

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# შეინახეთ დოლ-გარმონი



კობა ინასარიძე ტალინიდან

მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათი იყო, „კადრიორგის“ სტადიონის ახლო-მახლო ხუთჯვრიანი დროშები რომ აფრიალდა. ესტონეთში მცხოვრები ქართველობა „დინამოს“ საქომაგოდ შეიკრიბა და სტადიონსაც ერთად მიაშურა. მასპინძლებმა ქართველებს დასავლეთი ტრიბუნის განაპირა, ცალკე სექტორი გამოუყვეს და ჩვენებმაც დოლ-გარმონი მოიმარჯვეს...

ქართველების ომახიანმა შეძახილებმა „ლევადიას“ ქომაგობა მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში გამოაფხიზლა. „კადრიორგზე“ შეკრებილი ათასხუთასამდე ესტონელი თავისას კი აკეთებს, მაგრამ ქართული ხმა მაინც მძლავრობს...

ამასობაში კი პირველი ხიფათი „დინამოს“ კართან შეიქმნა. კუთხურიდან დმიტრიევის ჩაწოდებულს კალიმულინი თავით შეეგება, მაგრამ კარს ააცილა. „დინამოს“ საპასუხოც თავური იყო — ორბელაძისა და ისიც უზუსტო გამოდგა. სხვათა შორის, ვახსენოთ, რომ მოულოდნელად „დინამოს“ კაპიტნის სამკლავური სწორედ სერგო ორბელაძეს ეკეთა.

საწყის 15 წუთში მოედანზე, უკვე თქმულის გარდა, საინტერესო არაფერი ხდება, თუმც მასპინძლებს კიდევ ეტყობათ ნერვიულობა და როცა თბილისელები ტემპს უმატებენ, „ლევადიას“ ოთხკაციანი დაცვა რაღაც უსისტემო ჩანს. „დინამოს“ ბოლო პასის სიზუსტე აკლია, თორემ ნელ-ნელა უპირატესობას ეუფლება. აგერ, ის ზუსტი პასიც: ესტონელები თამაშგარეს იმედად რომ იყვნენ, ოდიკაძემ ბურთი საპირისპირო ფლანგზე, ნავალოვსკისკენ გადაიტანა და კოტენკოს კართან ხიფათიც შეიქმნა. საჯარიმოდან ბურთი ხოხლოვ-სიმსონმა კი მოიგერია, მაგრამ ნოზაძე ყურადღებით იყო და ოცი მეტრიდან დაარტყა — „ლევადია“ კოტენკომ გადაარჩინა.

...და ჩრდილოირლანდიელი არბიტრის საეჭვო გადაწყვეტილება — პენალტი. მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, ბურთი საჯარიმო მოედანს გადასცდა და აუტში გავიდა, მსაჯმა კი კარის ხაზზე წაქცეულ ორბელაძესთან მიირბინა, გააფრთხილა და თვით ესტონელთა გასაკვირადაც კი პენალტი დანიშნა. ეს ამბავი 44-ე წუთზე მოხდა — ნაჰკმა უნაკლოდ დაარტყა...

როგორც შესვენებაზე ითქვა, მსაჯს ორბელაძე დმიტრიევისთვის იდაყვის მირტყმის გამო დაუჯარიმებია, რაც ტრიბუნიდან კი არა, მოედანზეც ვერ დაუნახავთ.

მოკლედ, პირველი ტაიმი ჩვენთვის უსიამოვნოდ დამთავრდა. „დინამო“ შესვენებამდე თამაშს კი აკონტროლებდა, მაგრამ რაც გამოვიდა, ანგარიშიდან ჩანს. თბილისელებს შემართება აკლდათ.

შესვენებაზე „ლევადიას“ თავკაცმა ერთი შეცვლა გააკეთა. პასიურ თავდამსხმელ ტენისტეს მარჯვენა ჰავბეკი კაზიმირი ამჯობინა, რომელიც, ალბათ, აქტიური ნავალოვსკის განეიტრალებასაც ეცდება. 50-ე წუთზე კი ოდიკაძემ გააცუდა კარგი მომენტი, ახლოდან დარტყმული კარს საკმაოდ ააცილა. არადა, შეტევაში დინამოელები სჭარბობდნენ მასპინძლებს.

„დინამო“ მეორე გოლს გადარჩა: ბურთი მოედნის ცენტრში დაიკარგა და „ლევადიამ“ სწრაფად შეუტია. ლეიტანი მარცხნიდან ბურთიანად გაქანდა თბილისელთა კარისკენ და დაბალი ჩააწოდა. ვასილიევმა ბურთი გაატარა, მეტოქეს გაჰყვნენ „დინამოს“ მცველებიც, კაზიმირი კი მეკარის ბაქნის კუთხიდან ურტყამდა. ბედად, ორბელაძემ დაუფარა.

ძალიან პასიურია „დინამოს“ ნახევარდაცვა, ბაბუნაშვილმა და ნოზაძემ მოედნის ცენტრი დაკარგეს. ისიცაა, რომ „დინამო“ ფლანგებზეც ინერტულია. გაამართლა რუუტლის შეცვლამ, კაზიმირმა ნავალოვსკი შეზღუდა.

...ამჯერად უკვე „ლევადია“ გადარჩა. ოდიკაძის ჩაწოდებულს მელქაძემ თავური მიაყოლა, მაგრამ ახლო კუთხეში კოტენკომ იყოჩაღა და მცველებმაც ბურთი კუთხურზე მოიგერიეს. „დინამომ“ კი ერთ კუთხურს იქვე სამიც მიაყოლა, ოღონდ კარისკენ ველარ დაარტყა.

თბილისელებმა ტემპს აშკარად უმატეს, მაგრამ, პირველი ტაიმის არ იყოს, პასებისას სიზუსტე აკლიათ. სამაგიეროდ კი, შეცვლაზე შესული პურიე მცველების მოგერიებულ თითქმის ყველა ბურთს იღებს და „დინამოს“ დაცვას სანერვიულოს არ აკლებს.

მატჩის ბოლო წუთები რომ მოახლოვდა, შეცდომებმაც იმატა, ბურთი ელემენტარულ სიტუაციებში იკარგებოდა და მეტოქეები ამას თითქოს ერთმანეთის მიბაძვით აკეთებდნენ.

ბოლო წუთზე კი „დინამო“ ძალიან სახიფათო საჯარიმოს ურტყამს. ბურთი მელქაძეს დაუგორეს, მისი დარტყმული კი მცველმა აისხლიტა და მსაჯმაც აქ ჩასტვინა...



ტალინი. 12 ივლისი. 19.30 საათი. კადრიორგი. 1 500

## ლევადია 1:0 დინამო

1:0 ნაჰკი (44)

მწვრთნელი ტარმო რუუტლი

1 კოტენკო

7 შიშოვი, 22 ხოხლოვ-სიმსონი, 3 ჩეპაუსკასი, 2 კალიმულინი

8 ნაჰკი

20 დოვიდენასი, 6 ვასილიევი

18 ტენისტე, 9 დმიტრიევი

5 ლეიტანი

10 მეგრელაძე, 18 მელქაძე

27 ნავალოვსკი, 8 ბაბუნაშვილი, 9 ნოზაძე, 28 ოდიკაძე

3 კანდელაკი, 24 ორბელაძე, 4 გიგაური, 6 ალადაშვილი

12 სტურუა

მწვრთნელი კახა ცხადაძე

შეცვლა: ტენისტე – 10. კასიმირი (46), ლეიტანი – 19. პურიე (58), მეგრელაძე – 11. ბობოხიძე (63)

გაფრთხილება: კალიმულინი (22), ალადაშვილი (25), ორბელაძე (43), პურიე (84), დმიტრიევი (85)

მსაჯები: მარკ კორტნი; დერეკ მაირსი, ჯერარდ ფლინი; კენ ჰინეტი (ყველა ჩრდილოეთ ირლანდია)

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

პაირაქტი (ყაზახეთი) 2:0 პეტრჟალკა (სლოვაკეთი)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 2:0 ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
დინამო (ბელარუსი) 1:1 ანართოსისი (კვიპროსი)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) 6:0 სკონტო (ლატვია)
სლიმა (მალტა) 1:4 შერიფი (მოლდოვა)

## უკრაინა
### უმაღლესი ლიგა. I ტური

ხარკოვი 1:1 კრივბასი
ჩერნომორეცი 1:1 არსენალი
მეტალურგი (დ) 5:0 სტალი
ვორსკლა 0:0 ზაკარპატია
დნეპრო 1:3 ტავრია
ილიჩევეცი 0:2 მეტალისტი

## ისლანდია
### პრემიერდივიზიონი. X ტური

გრინდავიკი 0:1 ვალიური
თროტური 0:0 აკრანესი

## ავსტრია
### მაქსბუნდესლიგა. I ტური

გრაცერი 3:1 ზალცბურგი

## ამხანაგური მატჩები

ლეგია (პოლონეთი) 2:1 ლევერკუზენი (გერმანია)
სპარტა (ჩეხეთი) 0:3 პარტიზანი (სერბეთი)
მარსელი (საფრანგეთი) 1:0 ისტრი (საფრანგეთი)
ბაზელი (შვეიცარია) 4:2 სოშო (საფრანგეთი)
კარლსრუე (გერმანია) 3:2 შტუტგარტი (გერმანია)
იორგრიტე (შვედეთი) 1:2 ოლბორგი (დანია)

# მატჩის შემდეგ



**ტარმო რუუტლი:** როგორც თამაშით, ასევე შედეგით კმაყოფილი გახლავართ. მახარებს ისიც, რომ სახელოვანი მეტოქის დამარცხება მოვახერხეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გადაწყვეტით ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. ჩავთვალოთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ პირველი ტაიმი დასრულდა, წინ კი მეორე ტაიმი გველის. ერთი სიტყვით, ყველაფერი თბილისში გაირკვევა.

**კახა ცხადაძე:** დამარცხებას მსაჯებს არ ვაბრალებ, მაგრამ მსაჯობასთან სერიოზული პრეტენზია მაქვს. ეს ხომ ჩემპიონთა ლიგაა და არა სკოლის ან სოფლის ჩემპიონატი.

მასპინძლების გამარჯვება მეკარის საუცხოო თამაშმა განაპირობა. მან ორი ურთულესი დარტყმა მოიგერია, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა მინიმალური შანსი გამოიყენეს და გოლი გაგვიტანეს.

ჩემს ფეხბურთელებს თავიდანვე ვაფრთხილებდი, რომ „ლევადია“ ძლიერი გუნდი იქნებოდა. შეხვედრის პირველი 20-25 წუთი მართლაც მასპინძლების უპირატესობით ჩატარდა, მაგრამ შემდეგ თამაში ჩვენი იყო.



ვერ დავეთანხმები ჩემს კოლეგას, თითქოს 1:0 პატარა უპირატესობა იყოს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, თბილისში ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მდგომარეობა გამოვასწოროთ. საპასუხო მატჩამდე ერთი კვირაა და ამ დროს შეცდომების გამოსასწორებლად გამოვიყენებთ.

„ლევადიაში“ სამი-ოთხი ფეხბურთელი მომეწონა, თუმცა მათ გვარებს ახლა არ დავასახელებ.



ნოდარ აკობია



ლევან ყიფიანი

*დღეს დილით თბილისის „ლოკომოტივი“ ერევნის გზას გაუყვება, რათა ხვალ იქაურ „ბანანცს“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში შეერკინოს. გუშინ კი „ლოკომოტივმა“ პრესკონფერენცია გამართა — ჟურნალისტთა წინაშე კლუბის გენერალური დირექტორი **ლევან ყიფიანი** და გუნდის მთავარი მწვრთნელი **ნოდარ აკობია** წარდგნენ*

# ბანანცის წინ

## დინამოს უეჭველ ჩემპიონობას არ ვეთანხმებით

*ყიფიანი:* სეზონისწინა მზადება ადრიანად დავიწყეთ, რადგან უეფას თასის მატჩები გველის, ათ-ათ დღიანი შეკრება გავიარეთ ლიკანში და თურქეთში.

— სასიხარულოა, რომ „ლოკომოტივში“ დაბრუნდა დავით სირაძე. უკვე იცით ჩვენი ლეგიონერის შესახებაც — უზბეკი ნახევარმცველი ისლამ იმონოვი გადმოვიყვანეთ. ის ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია, ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატზეც უთამაშია.

— რამდენიმე ახალი სპონსორი გამოგვიჩნდა. ჩვენი ტექნიკური სპონსორი ქართული მანუფაქტურული კომპანია „სარო“ გახდა — „ლოკომოტივი“ ამ ფირმის ნაწარმით ივარჯიშებს და ითამაშებს. „სარო“ ერთობ ხარისხიან პროდუქციას გვაწვდის.

— „ლოკომოტივის“ სპონსორები გახდნენ „კანარგო“, რომელსაც ბენზინგასამართი სადგურების ქსელი აქვს და მტკნარი და მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანია „ბახმარო“. სხვათა შორის, „ლოკომოტივის“ საშინაო მატჩებზე „ბახმარო“ მეტოქე გუნდსაც მიაწვდის თავის ნაწარმს. უსაფრთხოებას კი „ლოკომოტივის“ თამაშებზე ჩვენი კიდევ ერთი სპონსორი — „ალიგატორი“ უზრუნველყოფს. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა კომპანიებთანაც. „ლოკომოტივის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი კომპანია „სილქ როუდია“, რომელიც საქართველოს რკინიგზასთან ერთად პატრონობს გუნდს — ამგვარი თანამშრომლობა წარმატებული გამოდგა და გასულ სეზონში საქართველოს თასი მოვიპოვეთ, ახლა კი უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

— აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე კი ვაკეთებთ, მაგრამ მათ გვერდით გამოცდილებიც უნდა ჰყავდეთ და „ლოკომოტივში“ ასეთებიც გვყვანან.

— კვლავ ღიად რჩება ედიკ საჯაიას საკითხი. ამ ფეხბურთელის ტრანსფერისთვის რუსეთის ფეხბურთის ფედერაციიდან სათანადო დოკუმენტაცია მოვითხოვეთ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიგვიღია. რუსები ვალდებულნი არიან, მაქსიმუმ ერთ თვეში მოგვაწოდონ რაიმე დოკუმენტი და ეს ერთი თვე 13 ივლისს იწურება, მოკლედ, საჯაია „ბანანცთან“ ვერც პირველ და ვერც მეორე მატჩს ვერ ითამაშებს, რადგან უეფაში ხელახლა განაცხადის წარდგენა ერთი ეტაპის დასრულების შემდეგაა შესაძლებელი.

— რაც შეეხება უმაღლეს ლიგაში გუნდების ათიდან თექვსმეტამდე გაზრდას, თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატს მივესალმებით, მაგრამ გუნდების მატება ხელოვნურად არ უნდა მოხდეს. თუ უმაღლეს ლიგას ხელოვნურად გავზრდით, უკანგადადგმული ნაბიჯი იქნება — ეს ჩემი პირადი აზრია. ვფიქრობ, ათგუნდიანი ჩემპიონატი წინამორბედებზე უკეთესი იყო.

*აკობია:* ახალი სეზონისთვის მზადებისას გზადაგზა ვეძებდით ფეხბურთელებს, რამაც დიდი დრო წაიღო. გუნდიდან წასული რამდენიმე ფეხბურთელი უკანვე დაგვიბრუნდა — გიორგი ონიანი, მიხეილ მახვილაძე...

— თურქულ შეკრებაზე ვცდილობდით, რაც შეიძლება ძლიერ მეტოქეებთან გვეთამაშა საკონტროლო მატჩები. თურქული ფეხბურთი ძალიან წინ არის წასული. იქ ფეხბურთში ისეთი ხალხი დებს დიდ ფულს, ფეხბურთი ფანატიკურად რომ უყვართ. თურქულ გუნდებთან თამაშმა კარგად დაგვანახა ჩვენი პლუსები და ნაკლოვანებები.

— რაც შეეხება „ბანანცს“, ამ გუნდის თამაშს ფირზე ვუყურე, თორემ სომხური ფეხბურთის ახლანდელ თაობას არ ვიცნობ. „ბანანცი“ საკმაოდ ნორმალური გუნდია.

— დავით სირაძეს თავდამსხმელების უკან გავამწესებთ, ზვიად სტურუას შემცვლელზე კი ჩვენი მეკარეების მწვრთნელი მამუკა აბუსერიძეც მუშაობს. ბექა შეყრილაძემ თამაშებში უფრო კარგად წარმოაჩინა თავი, ვიდრე ვარჯიშებზე. ერთი პერსპექტიული მეკარეც გვყავს — ზვიად ჩალაძე.

— რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ დამდეგ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ფაქტობრივად მეტოქე არ ეყოლება, ამას არ ვეთანხმები...

**დავით თავართქილაძე**

# ფედერაციამ კლუბებს პირობა წაუყენა: არანაირი 300 000, გვაჩვენეთ შემოსავლები!

**უმაღლეს** ლიგაში თექვსმეტმა გუნდმა უნდა ითამაშოს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დირექტივა მალე აღსრულდება, რისთვისაც ფედერაცია და მისი სუბიექტი — პროფესიული ფეხბურთის ლიგა ნაბიჯ-ნაბიჯ მიილტვიან — ახლახან პროფლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა და იმ კომისიის შემადგენლობა დადგინდა, უმაღლესი ლიგის თექვსმეტივე გუნდი რომ უნდა შეამოწმოს.



დიმიტრი რამიშვილი და ნოდარ ახალკაცი — პროფლიგის და ფედერაციის პრეზიდენტები თექვსმეტგუნდა ჩემპიონატს ამზადებენ

კომისიის წევრები არიან: პროფლიგის გენმდივანი რევაზ ლორთქიფანიძე, საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელი ნოდარ კაკულია, აგრონომი ლევან ცხოვრებაშვილი და სამსაჯო კომიტეტის წარმომადგენელი ოთარ გუნთაძე. კომისიას ერთი წევრიც მიემატება, რომელსაც დღე-დღეზე ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დაასახელებს.

ფედერაციამ უკვე მიიღო თანხმობა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობაზე თექვსმეტი გუნდიდან, მათ შორის თბილისის „სპარტაკიდანაც“. კომისია ყველა ამ გუნდს ახლებური პრინციპით შეამოწმებს. შარშან პროფლიგამ საგარანტიო 300 000 ლარი მოსთხოვა უმაღლესი ლიგის ათივე გუნდს, მაგრამ ამან არ გაამართლა, სეზონის მეორე ეტაპისთვის ოთხი გუნდი ფაქტობრივად გაკოტრებული აღმოჩნდა. ახლა კი კომისია კლუბებს რაიმე საგარანტიო თანხას აღარ მოსთხოვს — კლუბის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემოსავლებით უნდა დაგვიდასტუროთ — ასეთია ფედერაციის მოთხოვნა კლუბებისადმი. ამით ფედერაცია და პროფლიგა გუნდებს ლიცენზირების საკითხსაც ამოუტივტივებენ.

22 ივლისს პროფლიგის კონფერენცია მე-17 ეროვნული ჩემპიონატის დებულებას მიიღებს, რომელიც იმავე დღეს ფედერაციის აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. წინა აღმასკომის სხდომა კი 15 ივლისს მოეწყობა და სხვათა გარდა ფედერაციის ახალი გენმდივნის საკითხიც გადაიჭრება. 15 ივლისვე ახალკაცი უმაღლესი ლიგის თექვსმეტივე კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდება დამდეგ სეზონზე სასაუბროდ.

**დავით თავართქილაძე**

# თვალი თვალი



*ფეხბურთი და ყლურწვა, აბა, რამ გაჰყო?! ეს პურისმჭამელი ბიჭებიც ათგუნდიანი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩზე მისულან და ეროვნული სტადიონის სკამებზე ჩასძინებიათ. შესაძლოა, ახლა ისინიც კამათობენ იმაზე, ჩემპიონატი ისევ ათგუნდიანი უნდა იყოს თუ თექვსმეტიანი და ალბათ, მათაც სჯერათ, რომ კამათი, ძილი და ყლურწვა ფეხბურთის ნაწილია.*

კახა კალაძეს რომ უკრაინაში დიდ პატივს სცემენ და ლამის ანდრეი შევჩენკოსავით უყვართ, ახალი ამბავი არ არის. „მილანი“ 14 ივლისს იწყებს სეზონისწინა მზადებას, მანამდე კი კახა კიევში ჩავიდა და თავის ახალ მანქანას, უნიკალური მოდელის შავ „პორშეს“ დააშლიგინებდა. უკრაინელმა ჟურნალისტებმა არც ამჯერად წაუყრუეს ქართველი მცველის მორიგ კიევურ ვიზიტს, მაგრამ მხოლოდ ერთი კითხვა იყო ფეხბურთზე, დანარჩენი კი... მანქანა, გარეგნული იმიჯი, მეგობრები.
„არმანის“ მაისურაში და ნაცრისფერ შარვალში გამოწყობილი კახა თავისი „პორშეს“ სალონში გაესაუბრა ჟურნალისტს

# სიხარული ცხოვრებაა, ტკივილი — ლევანი

## კახა კალაძე: მიკვირს, რატომ ვერ შემიყვარე



[illegible] ფოტო

— „მილანში“ შეკრება გეწყებათ და კიევში რამ ჩამოგიყვანა?

— კიევში ხომ სახლი მაქვს, მეგობრები მყავს... აქ ყოველთვის მანქანით ჩამოვდივარ. ეს „პორშე“ შვიდი თვის წინ ვიყიდე. უკრაინაში ასეთი მანქანა არ გინახავთ, ხომ?! ისე, აქ უმეტესად ღამღამობით დავდივარ, საცობში რომ არ მოვხვდე.

— **ეს შენი მერამდენე ავტომობილია?**

— არ დამითვლია. ის ტიპი არ ვარ, 30 მანქანა რომ უდგათ სახლში. უბრალოდ, ხშირი ცვლა მიყვარს. ძვირი კი დამიჯდა ეს „პორშე“, მაგრამ ფული ქარისთვის არ გამიტანებია, ყოველთვის ვიცი, რა უნდა ვიყიდო. მანქანით სიარული სიამოვნებაა, სიამოვნება კი უფულოდ არ მოდის.

— **მამაკაცური „სათამაშოები“ მაგრად გყვარებია. მგონი, შენი საათი „პორშეზე“ ბევრად ნაკლები** არ უნდა ღირდეს. თუ არ ვცდები, მისი ფასი 50-დან 100 ათას დოლარამდეა...

— შვეიცარიული „ლანჯ ენდ სონის“ ფირმის საათია, ძალიან მიყვარს, მეგობრებმა მაჩუქეს.

— **ხშირად გასაჩუქრებენ მეგობრები ასეთი ძვირფასეულობით?**

— რა ვიცი, ბევრი კარგი მეგობარი მყავს. აი, ნახეთ, მარჯვენა ხელზე ტატუ მაქვს: „მეგობრები სამუდამოდ“. მე იშვიათად მნახავთ მარტოს. მიყვარს ხმაურიანი კომპანიები, ღამის რესტორნები.

— **ტუჩები რატომ გაქვს ასე დახეთქილი, ქარის ბრალია?**

— არა, მონტე-კარლოში ვისვენებდი, პლაჟზე მზეს ვეფიცხებოდი.

— **იტალიას ალბათ ყოველმხრივ შეეგუე...**

—„მილანის“ დონის კლუბში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. თქვენ წარმოიდგინეთ, მთელ ცხოვრებას იქ გავატარებდი. უკვე იტალიურად უფრო კარგად ვლაპარაკობ, ვიდრე რუსულად, მაგრამ ვცდილობ, მშობლიური ქართული ენა არ დამავიწყდეს.

— **კახა, იღბლიან ადამიანად თვლი თავს?**

— ჯერ 27 წლის ვარ, მაგრამ ცხოვრებაში უკვე ბევრი რამ ვნახე, გამოვცადე, გადავიტანე... იცოცხლეთ, უმძიმეს მდგომარეობაში ბევრჯერ ვყოფილვარ. დღემდე უცნობია, სადაა ჩემი უმცროსი ძმა ლევანი. ოთხი წელია, იგი არ მინახავს. ისე განვიცდი, ლაპარაკს აზრი არა აქვს — ყურადღებით ვაკვირდები გამოძიების პროცესს. კი, ორიოდ კვირის წინ თბილისში ჩავედი, მაგრამ რად გინდა, ლევანზე ვერაფერი გავიგე...

— **წარმომიდგენია, როგორ უხარიათ მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს შენი ჩასვლა...**

— რა თქმა უნდა, ისინი ხომ იშვიათად მხედავენ. ეზოში სასწრაფოდ ამზადებენ დიდ სუფრას ტრადიციული ქართული საჭმელებით. დედაჩემმა რომ ხაჭაპურის, მწვადის, შემწვარი ქათმის გაკეთება იცის, ტყუილია... მე კი სამზარეულოში არ გამოვდგები, ასეთი არატიპიური ქართველი ვარ და რა ვქნა... იტალიაში მარტო ვარ სახლში, ასე რომ, ყოველდღე რესტორანში მიწევს კვება. მილანში ბევრი „გემრიელი“ რესტორანია, ერთი ამოჩემებული ადგილი არ მაქვს — გააჩნია, როგორ განწყობაზე ვარ და რა საჭმელი მინდა...

— **ღვინოს არ სვამ?**

— არა, რას ამბობ. ალკოჰოლი ჩემი საქმე არაა. ჯანმრთელ ცხოვრებას მივდევ.

— **სიმდიდრე, მიმზიდველობა, ფეხბურთელობა — თითქმის ყველა გოგოსთვის სასურველი მეუღლე ხარ. ახლა არ თქვა, რომ შენი გული თავისუფალია...**

— იცით, თავადაც მიკვირს, სერიოზულად რატომ ვერავინ შემიყვარე. ფაქტი კია, დღესდღეობით მარტო ვარ. აქამდე ექვსი წელი ვცხოვრობდი უკრაინელ გოგონასთან, მაგრამ ჩვენი ბედი არ იყო, დავშორდით. ალბათ, ხასიათებით ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. მე ისეთი მინდა ვნახო, რომელზეც ვიტყვი — აი, მასთან ცხოვრებას გავატარებდი. ეს კი იოლი არაა. ოჯახი, ბავშვები... ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს, შეკვეთით ვერავის მოვძებნი. ვინ იცის, ასეთი ქალი იტალიაში ვნახო, ან სულაც კიევში, ამავე საღამოს...

# ქართველების გოლ-გოლაობა უკრაინაში



გიორგი დემეტრაძემ უკრაინული სეზონი დუბლით დაიწყო

**უკრაინის** ჩემპიონატი ნამეტანი ადრიანად დაიწყო და ქართველებმაც ადრიანად დაიწყეს გოლაობა. დონეცკის „მეტალურგმა“ შინ 5:0 მიანგრია ალჩევსკის „სტალი“, რომლის რიგებში სრულად ითამაშა გიორგი ციმაკურიძემ. მისი რა გითხრათ, მაგრამ დონეცკელმა ქართველებმა კი ჩინებულად ითამაშეს — გიორგი დემეტრაძემ მე-8 წუთზე ანგარიში გახსნა, მეორე ტაიმის დასაწყისში პენალტით მეორედ იხეირა და მერე, საგოლე პასიც გაახერხა. ქართველი ფორვარდი ულაპარაკოდ საუკეთესო იყო მატჩში.

„დემეც“ და „მეტალურგის“ ახალწვეული ლევან ცქიტიშვილიც მატჩის მილეულს შეცვალეს, როცა საქმე უკვე გაკეთებული იყო. უკრაინული მედიის ცნობით, „ცქიტოსაც“ რიგიანად უთამაშია.

ვასილ გიგიაძე კი ხეირიანად არც გადასულა „კრივბასში“ და უკვე საჭირო გოლი შეაგდო. მისი გუნდი „ხარკოვთან“ 0:1 აგებდა, ვასო 61-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა და ოთხ წუთში გამთანაბრებელი დაამგერა მასპინძლებს.

იყოჩაღა ხარკოვის „მეტალისტის“ ფორვარდმა ლაშა ჯაკობიამაც. მან 32-ე წუთზე ანგარიში გახსნა სტუმრად მარიუპოლის „ილიჩევეცთან“ მატჩში, მერე საგოლე პასიც მიითვალა და თავისიანებს მოაგებინა.

ეგებ ვცდებით, მაგრამ ქართველების ასეთი უხვმოსავლიანი უკრაინული ტური არ გვახსენდება. რაღა დავამატოთ, კარგ დაწყებას გაგრძელებაც ასეთი მოჰყოლოდეს...

**ილია ნანოგაშვილი**

# რუსთავი რომ პაპა არაა

**ინტერტოტოზე** მერამდენედ ტყუილუბრალოდ გასული „ვიტ ჯორჯია“ ამჟამად თბილისში ემზადება. თითქმის გამორიცხულია, გუნდი უცხოურ შეკრებაზე წავიდეს. ყოველ შემთხვევაში, ვიტელთა მეორე მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ გვითხრა, უკვე ვიყავით უცხოეთში, უნგრეთში „ლომბარდ პაპას“ ვეთამაშეთ და ამ ეტაპზე საქართველოში ვარჯიშიც დამაკმაყოფილებელიაო.

„ვიტ ჯორჯიამ“ ინტერტოტოს შემდეგ ერთი ტესტ-მატჩი გამართა, „სინათლის“ სტადიონზე 1:0 მოუგო პირველლიგელ „რუსთავს“, გოლი კი ახალგაზრდა როდიონ ცხომარიამ გაიტანა. რუსთაველებთან არ უთამაშიათ ვეტერინართა ლიდერებს, გუნდის თავკაცმა რამაზ მუმლაძემ მეტწილად მეორე შემადგენლობა გაიყვანა მინდორზე.

იყო ხმები, დავით დიღმელაშვილი და ოთარ მარცვალაძე ამ სეზონშივე დატოვებენ „ვიტ ჯორჯიასო“. კლუბის გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ გვითხრა, სეზონის დასრულებისთანავე სხვა კლუბებმა მოინდომეს მათი შეძენა, მაგრამ ბოლო დღეებში მარცვალაძისა და დიღმელაშვილის თაობაზე ჩვენთვის არავის მოუმართავსო. კაკაურიძე გადაჭრით ვერ ამბობს, ორივე ლიდერი ჩვენთან დარჩებაო, თუმცა ის კი თქვა, ამ სეზონში ისევ მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლებთო. არადა, ვიტელებს უკვე გამოაკლდათ მეკარე სერგო ჭურაძე, მცველები — ლექსო ინწკირველი და გიორგი კვახაძე და ნახევარმცველი ვლადიმერ გოჩაშვილი.

**ილია ნანოგაშვილი**

# გამიშვით, მუსიე ოლა...



მიკაელ ესიენი „ლიონში" დარჩენას არ აპირებს

**საფრანგეთის** ჩემპიონ „ლიონის" განელმა ვარსკვლავმა მიკაელ ესიენმა განაცხადა, რომ გუნდის დატოვება საბოლოოდ გადაწყვიტა და „ჩელსიში" გადასვლა უნდა. თუმცა კლუბის მმართველმა ჟან-მიშელ ოლამ ადრე 25 მილიონზე თქვა უარი და არაფრის შეცვლას არ აპირებს. მას 22 წლის ნახევარმცველთან განშორება არ სურს.

მიკაელ ესიენი: „არდადეგებზე ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ წასვლა გადავწყვიტე. აზრს არ შევიცვლი. „ლიონი" ჩემთვის უკვე წარსულია და გუნდს კორეაში, შეკრებაზე არ გავყვები. ვფიქრობ, ახლა კლუბიც უნდა იყოს დაინტერესებული, რომ სხვაგან გადავიდე. იმედია, უფროსობა ჩემს დაკავებას არ ეცდება".

შეგახსენებთ, რომ აფრიკელით „ჩელსის" გარდა, „რეალი", „მანჩესტერი" და კიდევ მრავალი კლუბია დაინტერესებული, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ლონდონელთა გუნდში გადასვლა სურს.

„ინგლისში, კერძოდ, „ჩელსიში" თამაში მინდა. გონებით უკვე იქ ვარ. ახლა რომ არ წავიდე, მერე მთელი ცხოვრება ვინანებ. დარჩენის შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ ძველებური განწყობით მინდორზე გასვლას ველარ შევძლებ" — თქვა ესიენმა.

„საქმე ფულში არ არის, პრინციპშია. ასეა თუ ისე, ჩვენ ესიენის გაყიდვას არ ვაპირებთ" — ეს კი ჟან-მიშელ ოლას სიტყვებია.

**გიორგი ძაძაგაძე**

# გახდილ-ჩახდილი პრეზიდენტი
## ლაპორტა აეროპორტში აიყვანეს



ხუან ლაპორტამ „ბარსელონას" ფანებს მოუბოდიშა

**ბარსელონას** „ელ პრატის" აეროპორტში ხუან ლაპორტას საშაყირო ამბავი შეემთხვა. „ბარსას" პრეზიდენტმა სამჯერ გაიარა დეტექტორში, რომელმაც სამჯერვე დაიწკრიალა. გაბრაზებულმა ლაპორტამ ფეხსაცმელები დეტექტორისკენ გაისროლა, მერე შარვალი გაიძრო, ყუთში ჩააგდო და პოლიციელებსაც უღრიალა.

ამას ერთ-ერთი ესპანური გაზეთის ჟურნალისტი შეესწრო. მისი თქმით, პოლიციელებმა ხუან ლაპორტას ხელი სტაცეს და ოთახში შეაბრძანეს, რათა დაემშვიდებინათ. ოთახიდან გამოსულმა პრეზიდენტმა მოიბოდიშა: „დეტექტორის წკრიალი რომ აღარ გაჩერდა, ნერვები მომეშალა, მაგრამ ვინმეს შეურაცხყოფა არც მიფიქრია. „ბარსელონას" ფანებს ჩემი ასეთი საქციელი თუ არ მოეწონათ, ბოდიშს ვუხდი".

**ვაჟა ხუციშვილი**

# საქმე ამაშია
## ჯილარდინო ჯერაც პარმაშია



ალბერტო ჯილარდინო

**„პარმამ"** თქვა, არ დაიჯეროთ, რომ ალბერტო ჯილარდინო სეზონისწინა შეკრებაზე ჩვენთან ერთად არ იქნებაო. საქმე ისაა, რომ „ჯალობლუ" — ჩვენებურად ყვითელლურჯი — ხოლო გასაგებად „პარმა", დღეს იწყებს ახალი სეზონისთვის მზადებას. ამასთან დაკავშირებით კი ქვეყანაში ჭორები დაირხა, თითქოს „მილანში" გადასვლასთან მიახლოებულ ჯილარდინოს „პარმაში" სავარჯიშოდ მისვლაზე კატეგორიული უარი განეცხადებინოს.

პარმელთა პრეს-ატაშემ ბრძანა: „ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ალბერტო ჯილარდინოს ერთი სიტყვაც კი არასდროს წამოსცდენია 13 ივლისის შეკრების გაცდენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სანამ არ გაიყიდება, ჩვენი გუნდის ჩვეულებრივი წევრი იქნება და ვარჯიშებზეც ივლის".

იტალიური მასმედია კი ამბობს, რომ ალბერტო ჯილარდინოს ამბავი ამ კვირაში გაირკვევა. როგორც გითხარით, ამბობენ იმასაც, რომ თუ ჯილარდინო „მილანში" გადავა, მაშინ შავ-წითელთა გუნდი დანიელმა იონ დალ ტომასონმა უნდა დატოვოს.

„ტომასონი „ბენფიკას" პოტენციური ვარსკვლავია" — განაცხადა ლისაბონელთა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა.

**პაპუნა ძიძია**

# ნაპოლი ფიორენტინას კვალზე

**გუშინაც** გამცნეთ, რომ იტალიურ ფეხბურთში კვლავ ფინანსური კრიზისის ნიშნები შეიმჩნევა და, როგორც ჩანს, საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ. ამ პრობლემის წინაშე ამჟამად სერია **A**, **B** და **C**-ს ერთობაშად 29 კლუბი დგას.

როგორც წესი, ზოგი კლუბი ასეთი სიტუაციით სარგებლობს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ სხვა გუნდების რთული ფინანსური მდგომარეობით „ფიორენტინამ" იხეირა და სერია **A**-ში დასაბრუნებელი გზა ერთიორად გაიადვილა. ახლა კი შეიძლება, იგივე კიდევ ერთმა საკმაოდ ტიტულიანმა კლუბმა, „ნაპოლიმ" გააკეთოს. დიდი შანსია, ნეაპოლელები სერია **B**-ში, გასაჭირში მყოფ „პერუჯას" ნაცვლად აღზევდნენ, ხოლო უმბრიელებს, რომლებიც წლეულს უმაღლეს ლიგას კინაღამ დაუბრუნდნენ, სერია **A**-ში კი არა, ახლა სერია **C**-ში ადგილიც სახვეწარი აქვთ.

„ჩვენ იმ რამდენიმე კლუბს შორის ვართ, რომლებსაც ფინანსური მდგომარეობა სრულ წესრიგში აქვს. სათქმელი მეტი არაფერია. გადაწყვეტილებას უნდა დაველოდოთ. ცხადია, ჩვენს თამაშს და გუნდის აღორძინებას სერია **C**-შიც გავაგრძელებთ" — თქვა „ნაპოლის" სპორტულმა დირექტორმა პიერპაოლო მარინომ.

შეგახსენებთ, რომ ნეაპოლელებს დიდი ამბიციები კვლავ გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც კლუბი კინოს სამყაროში ცნობილმა პროდიუსერმა და „ნაპოლის" თავგადაკლულმა ქომაგმა აურელიო დე ლაურენტისმა ჩაიბარა. „პერუჯასა" და სხვა ფინანსურ კრიზისში მყოფი გუნდების ბედი კი საბოლოოდ 15 ივლისს გადაწყდება.

ვთქვათ ისიც, რომ სერია **A**-ს კლუბებიდან მსგავსი პრობლემა „მესინასა" და „ტორინოს" აწუხებს. საეჭვო იყო „კიევოს" მდგომარეობაც, მაგრამ ვერონელთა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამ მხრივ ყველაფერი მოგვარებულია.

**გიორგი ძაძაგაძე**



ანდრეი შევჩენკო ახლა 60 მილიონ გირვანქად შეაფასეს

# შევჩენკოს ტრანსფერში ამერიკა ჩაერია

**ლონდონური** „ჩელსი" „მილანთან" ვაჭრობას განაგრძობს. რომან აბრამოვიჩმა იტალიურ კლუბს ანდრეი შევჩენკოს სანაცვლოდ ახლა 60 მილიონი გირვანქა შესთავაზა, ხუთით მეტი, ვიდრე სამი კვირის წინ. მოგეხსენებათ, „მილანმა" თითქმის მოაგვარა ალბერტო ჯილარდინოს ტრანსფერი და „ჩელსიც" ამიტომ გააქტიურდა.

„შავ-წითლებს" ამჟამად ოთხი ფორვარდი ჰყავთ: ანდრეი შევჩენკო, კრისტიან ვიერი, ფილიპო ინძაგი და იონ დალ ტომასონი, რომლის გაყიდვასაც საშველი აღარ დაადგა. ჯილარდინოც მილანელი გახდება, ამიტომ ლონდონელები ფიქრობენ, რომ „მილანი" უკრაინელ ფეხბურთელს 60 მილიონ გირვანქად შეელევა.

„ჩელსი" სილვიო ბერლუსკონის პასუხს ელის, მაგრამ იტალიური კლუბი ოფიციალურად ჯერ არაფერს არ აცხადებს. „მილანი" სეზონისწინა შეკრებაზე ამერიკაში მიემგზავრება და ალბათ გუნდის დაბრუნების შემდეგ გაირკვევა ანდრეი შევჩენკოს ბედიც.

შეკრებაზე „მილანს" მსუბუქად დაშავებული ფილიპო ინძაგი ვერ გაჰყვება. პიპომ განაცხადა: „სერიოზული არაფერია, ძველი ტრავმები რომ არ გამიმწვავდეს, ექიმმა დარჩენა მირჩია. სეზონის დაწყებამდე სრულად გამოვჯანმრთელდები".

„მილანს" ამერიკულ ტურნეზე კიდევ ორი ფეხბურთელი ვერ გაჰყვება — მეკარე დიდა და ნახევარმცველი კაკა. ბრაზილიელებმა მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ეროვნულ გუნდში კონფედერაციათა თასზე ითამაშეს და ახლა ისვენებენ.

„როსონერი" ახალი სეზონისთვის პირველად ხვალ იკრიბება და ახალწვეულთა პრეზენტაციაც (ფოგელი, იანკულოვსკი, ელეფთეროპულოსი, ვიერი და სავარაუდოდ, ჯილარდინოც) ხვალისთვისაა დაგეგმილი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფიგუს ლივერპული მილანშია?
## რუი კოშტა სახლს და სკოლას ეძებს

**ლუიშ ფიგუმ** გუშინწინ თქვა, „ლივერპულში" გადასვლაზე ვოცნებობ, მაგრამ ოცნება ყოველთვის არ ახდებაო. გუშინ კი იტალიურმა მედიამ ფიგუს მომავალი მილანის „ინტერს" დაუკავშირა.

ამბობენ, რომ „ინტერმა" პორტუგალიელს სამწლიანი კონტრაქტი და წლიურად 2 მილიონი ევრო შესთავაზა. ფიგას აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ (რომელიც ვალტერ სამუელის „ინტერში" გადაყვანაზე მუშაობს) განაცხადა: „ფიგუს თაობაზე მილანურ კლუბს ვესაუბრეთ და ვფიქრობ, მალე შევთანხმდებით".



ლუიშ ფიგუ

მასიმო მორატი, „ინტერის" პატრონი და პორტუგალიელი ნახევარმცველის ფანი, მზადაა „რეალს" ფულის გარდა ედგარ დავიდსიც დაუთმოს. სეზონისწინა შეკრებაზე დავიდსი არ გამოცხადებულა და ალბათ მას გუნდიდან აბარგება მოუწევს.

გარდა ამისა, ისიც გაირკვა, რომ ლუიშ ფიგუს მანუელ რუი კოშტასთვის უთქვამს, მილანში სახლის შერჩევაში დამეხმარე და ისიც გამიგე, ბავშვები სკოლაში სად ვატაროო.

თუ ყველაფერი მოგვარდა, ლუიშ ფიგუ „ინტერთან" კონტრაქტს ხვალ, ხუთშაბათს, გააფორმებს, მადრიდის „რეალი" კი ხვალვე ტურნეზე მიემგზავრება.

სარდინიაზე შეკრებილი „ინტერის" ფეხბურთელები ახალი სეზონისთვის ემზადებიან, ხუან სებასტიან ვერონი კი უკვე ჩემპიონობაზე ფიქრობს: „იტალიის თასის მოგება მხოლოდ დასაწყისი იყო. ახლა „სკუდეტოს" დრო მოვიდა და მჯერა, რომ ამ სეზონში სერია **A**-ში სწორედ ჩვენ გავიმარჯვებთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# მოჯის არ ენდოთ, არა! კაპელოს ძველი გეგმები

**იტალიურ პრესაში ამჟამად ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „იუვენტუსის“ გარშემოა ატეხილი. მიუხედავად „ბებერი ქალბატონის“ გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის განცხადებისა, როგორც ჩანს, ტურინელები მაინც აქტიურად ცდილობენ პატრიკ ვიეირასა და ანტონიო კასანოს ხელში ჩაგდებას. გუნდის მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო კი სამომავლო გეგმებზე საუბრობს, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ემზადება და კიდევ რამდენიმე შენაძენს ითხოვს**




პატრიკ ვიეირას სანაცვლოდ ლუჩანო მოჯიმ „არსენალს“ 9 მილიონი გირვანქა შესთავაზა

„ტურინელები მართლაც დაინტერესებულნი არიან, მაგრამ ჩვენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია, დავიწყოთ თუ არა მოლაპარაკება. ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, როგორ წინადადებას მივიღებთ და რა სურს თავად ვიეირას. მისი შეცვლა ძალიან ძნელი იქნება და ვისურვებდი, რომ პატრიკი დარჩეს. თუმცა რამდენიმე დღეში ყველაფერზე კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ და დანარჩენი მერე გაირკვევა“ — ეს „არსენალის“ მმართველის, პიტერ ჰილ-ვუდის სიტყვებია.

ბოლო ცნობების თანახმად, „იუვენტუსი“ უკვე მზად არის, ვიეირას სანაცვლოდ „მეთოფეებს“ 9 მილიონი გირვანქა გადაუხადოს და სტეფან აპიაც დაუთმოს. ლონდონელები კი უფრო მეტს ითხოვენ.

მიუხედავად ყველაფრისა, თავისას არ იშლის ლუჩანო მოჯი: „ყველა ჩვენს ახალ შესაძლო შენაძენებზე ლაპარაკობს, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ წინა ჩემპიონატი შეიდქულიანი უპირატესობით მოვიგეთ. სერია A-ში საუკეთესო დაცვა და თავდასხმა გვყავს. ასე რომ, შემადგენლობა უკვე საკმარისად ძლიერია, თუმც გარკვეულ ცვლილებებს არ გამოვრიცხავ. ლონდონელები პატრიკ ვიეირას ძალიან ძვირად აფასებენ, თან იგი ემერსონის პოზიციაზე თამაშობს, ხოლო მის გაყიდვას არ ვაპირებთ. რაც შეეხება კასანოს, იგი ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ არ გვჭირდება“.

აპენინური ჟურნალ-გაზეთები კი ირწმუნებიან, რომ ტურინელები ისევ ცდილობენ ანტონიო კასანოს ხელში ჩაგდებას და მის კიდევ ორ თანაგუნდელსაც უტრიალებენ. საუბარია კრისტიან პანუჩისა და ამანტინო მანსინიზე, რომელთა სახელებიც „იუვენტუსთან“ უკვე დიდი ხანია, ასოცირდება.

ამბობენ, რომ „ბებერი ქალბატონი“ ამ ტრანსფერების განსახორციელებლად მზადაა, ადრიან მუტუს, ჯორჯო კიელინის, ენცო მარესკას, ფაბრიციო მიკოლის, მანუელე ბლაზის, ალესანდრო ბირინდელის ან მოცარტს შეელიოს. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით ოფიციალურად „იუვენტუსის“ მოთამაშედ არ გამოცხადებულა, მაგრამ ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანს.

„შეგიძლიათ, ჩვენი კაპიტანი მოცარტი უკვე „იუვეს“ წევრად ჩათვალოთ, მაგრამ არა მგონია, მან მომავალი სეზონი „დელე ალპიზე“ გაატაროს. ტურინელებს შეუძლიათ, იგი უდინელი დავიდ პიზაროს ან რომაელი ანტონიო კასანოს შესაძენად გამოიყენონ“ — თქვა „რეჯინას“ პრეზიდენტმა ლილო ფოტიმ.

ასეა თუ ისე, „იუვენტუსსა“ და „რომას“ შორის შესაძლო გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა დედაქალაქელები ფილიპ მექსეშის ტრანსფერის გზით დატოვებული ემბარგოს წარმატებით გასაჩივრებას. შეგახსენებთ, რომ ამჟამად მათ არც ფეხბურთელების ყიდვის უფლება აქვთ და არც გაყიდვის.

ახლა კი ფაბიო კაპელოს მოვუსმინოთ: „სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩვენი მთავარი მეტოქეები ისევ მილანური კლუბები იქნებიან. ორივე მათგანი საგრძნობლად გაძლიერდა და უაღრესად მოტივირებულია, თუმც ჩვენი პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგა იქნება, სადაც ძირითად კონკურენტებად „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ მივიჩნევ. „იუვენტუსს“ უკვე საკმარისად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს ამ ტურნირის მოსაგებად. ახლა ერთმანეთს ბევრად უკეთ ვიცნობთ და გუნდის ბრძოლისუნარიანობა გაცილებით მაღალია. მსოფლიოს ჩემპიონატის გამო, სერია A-ში 5 ტური შუა კვირაში გაიმართება და შესაბამისად, მომავალი სეზონი ძალიან დაძაბული იქნება“.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ „იუვენტუსს“ მომავალ სეზონში ახალი, წითელი საგარეო მაისურა ექნება. ეს ტურინელთა ხელმძღვანელებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს. აქამდე „ბებერ ქალბატონს“ წითელი ფორმა არასოდეს სცმია.

ტურინელთა ახალი მაისურის მარცხენა მხარეს, სადაც ტრადიციულად სკუდეტოს სიმბოლო და ვარსკვლავები ჩანს, თეთრ-მწვანე ზოლები დაემატება, რაც იტალიის დროშის გამოსახულებას შექმნის.

**გიორგი ძაძამიძე**



არსენ ვენგერი სამუშაოდ იტალიაში წასვლას აპირებს

# არსენს სერიაში უნდა

„**არსენალის**“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ სურს, „ჰაიბერის“ დატოვების შემდეგ კარიერა იტალიაში გააგრძელოს. შეგახსენებთ, რომ ფრანგი მწვრთნელი „მეთოფეებს“ 1996 წლიდან უდგას სათავეში და საკმაოდ წარმატებულადაც. თუმც დასასრული ყველაფერს აქვს და ვარაუდობენ, რომ თუ მომავალი სეზონის შემდეგ არა, მაქსიმუმ 2-3 წელიწადში ვენგერი გუნდს გამოიცვლის.

„ძალიან მინდა, საკუთარი თავი იტალიაში გამოვცადო. ვინ იცის, იქნებ ეს „იუვენტუსშიც“ კი მოხდეს. ამ თემაზე ტიერი ანრისთან და არტურო რუპოლოსთან არაერთხელ მისაუბრია. მიყვარს, როცა გუნდს მიმზიდველ ფეხბურთს ვათამაშებ და მჯერა, სერია A-ში წარმატების მიღწევა შემიძლია“ — თქვა ფრანგმა სპეციალისტმა.

მოგეხსენებათ, „არსენალის“ თავკაცს „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობასთან მეგობრული ურთიერთობა აქვს და ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ ააგორა ჭორები, კაპელოს წასვლის შემდეგ ტურინულ კლუბს სწორედ ვენგერი ჩაიბარებსო.

გამოცდილმა სპეციალისტმა კომენტარი პატრიკ ვიეირას შესაძლო ტრანსფერზეც გააკეთა: „ტურინელებს მართლაც სურთ მისი შეძენა, მაგრამ მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ვიეირა გუნდში დარჩება, პატრიკი ლონდონში თავს კარგად გრძნობს, ხოლო ჩვენ წამყვან ფეხბურთელებთან განშორება არ გვჩვევია“.

**გიორგი ძაძამიძე**

# იტალიის ჩემპიონატი საუკეთესო A

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ თავისი მორიგი გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. **IFFHS**-მ ამჯერად გასული სეზონის საუკეთესო ჩემპიონატი „გამოთვალა“, პირველ ადგილზე იტალიის სერია A-მ გადაინაცვლა. მას ცოტათი ჩამორჩა ინგლისის პრემიერლიგა, ხოლო მესამე პოზიცია ესპანეთის პრიმერადივიზიონმა დაიკავა.

**IFFHS** გამოთვლისას აბსოლუტურად ყველაფერს ითვალისწინებს — როგორ დონეზე ჩაიარა მთლიანად ჩემპიონატმა, პირველობისთვის, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის და გადარჩენისთვის ბრძოლამ. ასევე მნიშვნელობა აქვს ლეგიონერების რაოდენობას და ამა თუ იმ ლიგისადმი სხვა ქვეყნების ინტერესს.

ჰოდა, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, გაირკვა, რომ სერია A გასულ სეზონში მართლაც ყველაზე დაძაბული და საინტერესო გახლდათ.

ბოლოს კი მსოფლიო ქვეყნების წამყვანი ეროვნული ჩემპიონატების პირველ თხუთმეტეულს გთავაზობთ, იმავ **IFFHS**-ს მიხედვით:

**გიორგი ძაძამიძე**

| | | |
|---|---|---|
| 1 | **იტალია** | 594 (ქულა) |
| 2 | ინგლისი | 587 |
| 3 | ესპანეთი | 482 |
| 4 | არგენტინა | 478 |
| 5 | საფრანგეთი | 472 |
| 6 | ბრაზილია | 453 |
| 7 | ჰოლანდია | 449,5 |
| 8 | მექსიკა | 446 |
| 9 | კოლუმბია | 391,5 |
| 10 | გერმანია | 382 |
| 11 | პორტუგალია | 373 |
| 12 | საბერძნეთი | 336 |
| 13 | რუსეთი | 322 |
| 14 | ჩილე | 310,5 |
| 15 | თურქეთი | 309 |



დაძაბული თამაშები და ლამაზი გოლები სერია A-ში მრავლადაა

# ჯანდაბას, მომეცი ჩელსი



იყო დრო, ბორის ბერეზოვსკი და რომან აბრამოვიჩი ერთად თამაშობდნენ

**ლონდონში** გადახვეწილმა რუსმა ოლიგარქმა, ბორის ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ თუ თავის ყოფილ ბიზნეს-პარტნიორს, ჩუკოტკის გუბერნატორ რომან აბრამოვიჩს სასამართლოში 7,5 მილიარდ დოლარიან სარჩელს მოუგებს, არც მეტი, არც ნაკლები, „ჩელსის“ წაართმევს.

როგორც ინგლისური გაზეთი „ინდეპენდენტი“ გვამცნობს, ბერეზოვსკი, რომლისთვისაც დიდი ბრიტანეთი პოლიტიკური თავშესაფარია, თავისივე განცხადებით „ჩელსის“ ქომაგი ყოფილა, რისაც არ დაგიმალავთ და გაზეთ „სარბიელს“ მაინცდამაინც არ სჯერა.

კერძოდ, რაში ადანაშაულებს ბერეზოვსკი აბრამოვიჩს? იმაში, რომ მან რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ფარული დავალებით შეაცდინა და გააყიდინა ტელეკომპანია ორტ-ს, „სიბნეფტისა“ და ალუმინის კომპანია „რუსალის“ წილები, რათა მათი ნამდვილი ფასი დაემცრო.

ბერეზოვსკის საქმეს ხელი მოჰკიდა პრესტიჟული და მდიდარი კლიენტების მომსახურეობით ცნობილმა იურიდიულმა ფირმამ „კარტერ-რაკმა“, რომელიც მაგალითად, სუპერმოდელ ნაომი კემპბელთან თანამშრომლობს.

„რომან აბრამოვიჩს საზღვარგარეთ დიდი საკუთრებანი აქვს, კერძოდ, „მილჰაუს კეპიტალი“, „ჩელსი“ და სხვა. მე „ჩელსის გულშემატკივარი გახლავართ... ჰოდა, ახირებით არაფერს ვიჩემებ, მაგრამ თუ ჩემი კომპენსაციის სხვა ვარიანტი არ ექნება, დაე „ჩელსი“ მომცეს“ — განაცხადა ბერეზოვსკიმ.

საინტერესოა, რომ გავრცელდა ჭორი, თითქოს გასულ კვირაში, რომან აბრამოვიჩმა „სიბნეფტის“ აქციები გაყიდა, თუმცა ეს სპორტს აღარ ეხება და თავი დავანებოთ.

ერთი კი, სხვადასხვა მიზეზით აბრამოვიჩის წინააღმდეგ უახლოეს მომავალში შესაძლოა, საქმე აღძრას ერთბაშად სამმა კომპანიამ, „სიბირ-ენერჯიმ“, „გაზპრომმა“ და „როსნეფტმა“.

**პაპუნა ქედია**



ვალტერ ნოველინო „სამპდორიაში“ ბედნიერია

# ნოველინო 2005

**გენუის** „სამპდორიას“ თავკაცი ვალტერ ნოველინო იტალიის 2005 წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. შეფასებისას, ცხადია, მთელი 2004-05 წლების სეზონი იყო გათვალისწინებული. შეგახსენებთ, რომ იქამდე ეს ჯილდო „პარმას“ ყოფილმა და „ფიორენტინას“ ამჟამინდელმა თავკაცმა ჩეზარე პრანდელიმ მოიპოვა.

ვალტერ ნოველინო: „ჯილდოს მოპოვება ყოველთვის სასიამოვნოა, ხოლო ასეთი აღიარება, რომელიც წარსულში უდიდეს მწვრთნელებს აქვთ მოპოვებული, ორმაგად სასიხარულოა. ვფიქრობ, ეს იმ თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომელიც მე და კლუბის ყველა წევრმა გასულ სეზონში გასწია. ახლა შევეცდებით, კიდევ უფრო უკეთ გამოვიდეთ, რაც ძნელი იქნება, მაგრამ იმედია, გამოგვივა“.

„ნაპოლის“ „ვენეციასა“ და „პიაჩენცას“ ყოფილი თავკაცი მართლაც ოპტიმისტურად არის განწყობილი. მოგეხსენებათ, ნოველინო უკვე მეხუთე წელს გაატარებს „სამპდორიაში“ და წინა სეზონში გუნდი კინაღამ ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. ამჟამად იგი გენუელთა თავდასხმის გაძლიერებაზე ფიქრობს და სათანადო კანდიდატებს არჩევს.

„მე ისეთ ადამიანებს მივეკუთვნები, რომლებიც მუდამ ახალ სამიზნეებს ისახავენ და მათ მიღწევას ცდილობენ. ჩვენ უეფას თასზე ვართ გასულები და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გათამაშებას, რაც შეიძლება დიდხანს შემოვრჩეთ“ — დასძინა 52 წლის სპეციალისტმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

ფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

სან პაულუ (ბრაზილია) – ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) (1:1)

# ძირს კორუფცია! გაუმარჯოს ლიბერტადორესის თასს!

**კოპა ლიბერტადორესს**, სამხრეთ ამერიკაში ჩემპიონთა თასის ანალოგს, 46-წლიანი ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, ფინალში ერთი ქვეყნის გუნდები გასულიყვნენ. ასეთი რამ პირველადაა — ტიტულს ერთმანეთს ბრაზილიის ორი გუნდი ეცილება, „ალეტიკო პარანენსე“ და „სან პაულუ“. გასულ კვირას, კონკურენტ თანამემამულეთა პირველ შეხვედრაში სანახავი არაფერი იყო, აქეთ-იქით გასულ თითო გოლს თუ არ ჩავთვლით.

რატომ არ იყო სანახაობა, ნუთუ. კოპა ლიბერტადორესის ფინალში გასულ გუნდებს სანახაობის შემქმნელი ფეხბურთელები არ ჰყავთ? — კითხულობს **BBC**-ს კორესპონდენტი ტიმ ვიკერი. როგორ არა, მაგალითად, „სან პაულუს“ მარჯვენა მცველი სისინიოც საკმარისია. ამ ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ გერმანიაში, კონფედერაციათა თასზე გამოიჩინა თავი, მაგრამ მარტო ტრადიციული ბრაზილიური ტექნიკა სხვა კომპონენტების გამოკლებით, სულაც არ ნიშნავს კარგ თამაშს. მითუფრო არ ნიშნავს კარგ სანახაობას, 90 წუთში 60 ჯარიმა. თან გულახდილად რომ ვთქვათ, მსაჯს გაცილებით მეტჯერ შეეძლო თამაშის შეჩერება.

აღსანიშნავია, რომ იმ ეპიზოდებში, როდესაც ფეხბურთელები ერთმანეთს კვანტს არ უდებდნენ, ისინი ყასიდად წაქცევით და მსაჯისთვის ყვითელი ბარათის გამოტყუებით იყვნენ დაკავებულნი. ერთი სიტყვით, მატჩი დამთრგუნველ, მტრულ გარემოში ჩატარდა, რაც, კაცმა რომ თქვას, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა სულაც არ გახლდათ.

დიახ, ბევრი ადამიანი ბრაზილიურ ფეხბურთზე ლამაზი ფინტებით მსჯელობს და მედალს მეორე მხარე რომ აქვს, არ უწყის. თუმცა, განა ბრაზილიურ ფეხბურთში რაიმე ისეთი ხდება, რაც ამ ქვეყნის ცხოვრებისთვის ზოგადად უცხოა? ნუ დაიზარებთ და ერთი წუთით არჩევნების ამბავს მოუსმინეთ: 2002 წელს, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში, მუშათა პარტიის კანდიდატმა ლულამ გაიმარჯვა, გულუბრყვილოებს ეგონათ, რომ ცხოვრება შეიცვლებოდა და ქვეყანაში კორუფცია აღმოიფხვრებოდა, მაგრამ გამოხდა არცთუ დიდი ხანი და კორუფცია კი არ აღმოიფხვრა, თავად პარტია გაეხვა ისეთ მასშტაბურ სკანდალში, რომ მისი ერთ-ერთი დიდი ლიდერი, ტარსო ჟენრო იძულებული გახდა ელიარებინა, ყველაფერი რელსებიდან გადავიდა და უმუხრუჭოდ მიქრისო. მოკლედ რომ ავხსნათ, პარტიის შეფებს ეგონათ, რომ მათი სიღარიბე და მუშური პატიოსნება წარმატების გარანტია იქნებოდა და საყოველთაო რეფორმებს შეუდგნენ, მაგრამ დაავიწყდათ, რომ ძველი საზოგადოება უკვალოდ არ გამქრალა, რომ მან წლების განმავლობაში ხალხში „საშუალო მორალი“ შექმნა, რომელმაც თუნდაც ყველაზე კეთილ გეგმებს საშინელი დაღი დაასვა.

და, რაც ხდება ქვეყანაში, იგივე ხდება ბრაზილიურ ფეხბურთშიც. ქვეყანაში, სადაც საერთო შემოსავალი, ალბათ მსოფლიოში ყველაზე უსამართლოდ ნაწილდება, არსებობენ ძალიან ღარიბები და ძალიან მდიდრები და აქ ამერიკული ტიპის საბაზრო ღირებულებების დანერგვამ მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ნაპრალის კიდევ უფრო გაზრდა გამოიწვია. კერძოდ, მოგებას საბაზრო ფასი აქვსო და ბევრმა მწვრთნელმა იწამა, რომ მიზნისკენ ყველაზე მოკლე გზა ჯარიმებზე გადის. ეს ადამიანები ფეხბურთის განვითარებას კი არ ემსახურებიან, სიბინძურეებს ხვეწენ. ისეთ ხერხებზე, როგორიც თამაშის მიწურულს დაწინაურებული გუნდის მოთამაშეების მოედანზე წაქცევა და ტრავმის გამოგონება გახლავთ, აღარც ვლაპარაკობთ. ბრაზილიაში ამ ილეთს ჩვენთვის უცნობი სიმაღლეები აქვს დაპყრობილი, ეს ყველაფერი კი არნახული ცინიზმითა და ოსტატობით კეთდება.

რაც შეეხება ფეხბურთელთა საოცრად დიდი ნაკადის ევროპაში გადინებას, ეს თავისთავად ცხადია, შიდაჩემპიონატის დონეს ამცირებს და ამცირებს. ქვეყანაში დარჩენილთა დიდი ნაწილი კი ოსტატობის ნაცვლად, აგრესიით და უხეშობით ცდილობს ფონს გასვლას. ჰოდა, სწორედ აგრესია, უხეშობა და ეშმაკობებია ის, რაც ამ ხალხს ფულისა და საზოგადოებაში ადგილის შოვნის საშუალებას აძლევს. სწორედ ამის ნათელი მაგალითი გახლდათ კოპა ლიბერტადორესზე წინა ოთხშაბათს გამართული ფინალური მატჩიც.

მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია, მითუფრო ბრაზილიური და ამიტომ იმედი ვიქონიოთ, რომ დღეს ერთი კვირის წინანდელზე გაცილებით უკეთესი სანახაობა იქნება.



„ატლეტიკო პარანენსისა“ და „სან პაულუს“ პირველი ფინალური შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა



# ჟოზე მაურინიუ: არ ვარ მე ის კაცი...

*რომან აბრამოვიჩის ფულით და ჟოზე მაურინიუს ნიჭით შექმნილმა „ჩელსიმ" გასულ სეზონში პრემიერლიგა და ლიგის თასი მოიგო. პრემიერლიგაში გამარჯვება უფრო ძვირფასი იყო, რადგან ამ ჯილდოს, ქომაგები ნახევარი საუკუნე ელოდნენ. მაურინიუს მთელი სეზონის განმავლობაში ენა არ გაუჩერებია, ხან მსაჯებს აკრიტიკებდა, ხან კოლეგებს, ხანაც მეტოქე გუნდებს. შვედმა ანდერს ფრისკმა მსაჯობას თავი რომ დაანება, ესეც ნაწილობრივ ჟოზე მაურინიუს „გამოხტომას" ბრალდება. ყველაფრის მიუხედავად, პორტუგალიელმა დაამტკიცა, რომ თავისი საქმე ფრიადზე იცის.*

*ახალი პრემიერლიგა 13 აგვისტოს იწყება, ჩვენ კი „ჩელსის" ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებულ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელშიც მაურინიუ ძველს აფასებს და ახალზე ბჭობს*

**— როგორ ფიქრობთ, პირველივე სეზონში პრემიერლიგისა და ლიგის თასის მოგებით ქომაგთა მოლოდინი გაამართლეთ?**

— გუნდში ჩემი მოსვლის დღიდან საქმისადმი დამოკიდებულება ძირფესვიანად შეიცვალა და გულშემატკივრებმაც ირწმუნეს, რომ ამ გზით „ჩელსი" უკეთესი გახდებოდა. არ მსურდა, ფეხბურთელებს კომფორტი ეგრძნოთ. ისინი მუდმივი წნეხის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ.

**— იყვნენ კი ისეთები, რომლებიც თავს კომფორტულად გრძნობდნენ?**

— ცხადია, როცა „ჩელსის" დარ გუნდში ხარ და ჯამაგირიც კარგი გაქვს, ეს უკვე ფუფუნებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში ფეხბურთელი ჩაკეტილ წრეში ექცევა და მოტივაცია ეკარგება.

**— თქვენ შეძელით ამ წრის გარღვევა?**

— დიახ. მე ვესაუბრე ფეხბურთელებს და თითოეულისგან პასუხი მოვითხოვე. გუნდი თავიდანვე განვაწყვე, რათა რამდენიმე ჯილდო მოგვეგო. როცა კლუბს ფული და აწყობილი ინფრასტრუქტურა აქვს, 5-10 წელიწადში რაღაცას აუცილებლად მოიგებს, მაგრამ ჩვენ ლოდინი არ გვსურდა. ამიტომაც მოვემზადეთ განსაკუთრებულად და შედეგიც პირველივე სეზონში მივიღეთ. ფეხბურთელები ყოველდღიურად, თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ. მას შემდეგაც კი, როცა ჩემპიონობა გავინაღდეთ, „ჩარლტონს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" მოვუგეთ. „ნიუკასლთან" ფრედ ვითამაშეთ, მერე კი სამხრეთ კორეაში გამართულ ამხანაგურ მატჩებში ვიმარჯვეთ.

**— ხართ თუ არა თქვენ ამ წარმატების მთავარი შემოქმედი?**

— ყველაფერი კლუბის პატრონისგან იწყება, რადგან ის წყვეტს, სურს თუ არა მაურინიუსთან ერთად კარგი გუნდის შექმნა. მან იცოდა, რომ მზად ვარ სამუშაოდ და ამის შემდეგ უკვე პასუხს მე და ჩემი ფეხბურთელები ვაგებთ. მთავარია, საქმისადმი სწორი მიდგომა იყოს.

**— ორი ჯილდო მოიგეთ და ფეხბურთელების ხელახლა განწყობა არ გაგიჭირდებათ?**

— ვიმედოვნებ, რომ არა. როცა გუნდში ორი-სამი ახალი ფეხბურთელი მოდის, ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი არავის არ ექნება. დიდიე დროგბამ და ეიდურ გუდიონსენმა გასულ სეზონში კარგად ითამაშეს, მაგრამ მესამე ფორვარდსაც თუ მოვიყვანთ, კონკურენცია გაიზრდება.

**— გამოდის, რომ თვით „ჩელსის" დარი კარგი გუნდისთვისაც კი ახალი სისხლი აუცილებელია?**

— რომც არ გვჭირდებოდეს, მაინც უნდა განვაახლოთ. რეალურად, კიდევ ერთი ნახევარმცველი აღარ მინდა, რადგან საკმარისად გვყავს, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ახალი კაცი აუცილებელია. ფეხბურთელმა არ უნდა იფიქროს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. საქმე მწვრთნელისთვისაც რთულია, განსაკუთრებით კარგი სეზონის შემდეგ. შეიძლება ჩათვალოს, რომ შესაცვლელი და გასაახლებელი არაფერია, მაგრამ ემოციებს არ უნდა აჰყვეს.

**— მოტივაცია ხომ არ მოგაკლდათ?**

— არა. საწყენია, რომ გასულ სეზონში ყველა ჯილდო ვერ მოვიგეთ, ბედნიერი ვარ პრემიერლიგაში და ლიგის თასზე გამარჯვებით, მაგრამ ასოციაციის თასზე და ჩემპიონთა ლიგაზე ხელმოცარულები დავრჩით. „პორტუსთან" ერთად საშინაო და ევროპული ყველა ტურნირის მოგება შევძელი, მაგრამ ინგლისში ამის გაკეთება რთულია. შარშან ოთხი დაგეგმილი ჯილდოდან ორი ავიღეთ, ამჯერად კი ხუთს ვუმიზნებთ, მათ შორის „ჩარითი შილდს" და აქედან ორ-სამს თუ მოვიხელთებთ, კმაყოფილი ვიქნები.

**— თქვენ სეზონის დაწყებას „ჩარითი შილდის" მოგებით აპირებთ?**

— რატომაც არა? ეს ხომ მხოლოდ ერთი მატჩია. თან „არსენალის" წინაალმდეგ და ასეთ გუნდთან შეხვედრაში ჩემი გუნდის ძალა უკეთ გამოჩნდება.

**— როდის იგრძენით, რომ ჩემპიონები გახდებოდით?**

— „მანჩესტერ სიტისთან" მარცხის შემდეგ არ გავტყდით და აქედან დაიწყო ჩვენი აღმასვლა. „არსენალი" ხუთი ქულით გვისწრებდა, მაგრამ არ დავბნეულვართ, რადგან კიდევ ბევრი მატჩი გველოდა. იმავე „არსენალთან" ორჯერ ვაგებდით და ორჯერვე გავათანაბრეთ, რითაც ვაგრძნობინეთ, რომ ფეხდაფეხ მივყვებოდით. „ბლექბერნთან" სტუმრად მატჩში კი ჩვენი ხასიათი გამოჩნდა. საუკეთესო მოთამაშე არიენ რობენი დაიმტვრა, მაგრამ მაინც ვიმარჯვეთ.

**— მიუნხენის „ბაიერნთან" პირველი მატჩისას გაჩნდა ცნობა, თითქოს თქვენ კლუბის უფროსებთან უთანხმოება მოგივიდათ...**

— მოხდა რაღაც, რამაც გამანაწყენა, მაგრამ „ჩელსიდან" წასვლა არც მიფიქრია. პირიქით, როცა ყველაფერი მოგვარდა, ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**— როგორ ფიქრობთ, ქომაგებმა მხოლოდ ორი ჯილდოს მოგებისთვის შეგიყვარეს?**

— პორტუგალიისგან განსხვავებით, აქ სულ სხვა დამოკიდებულებაა მწვრთნელსა და გულშემატკივარს შორის. იტალიაში, ესპანეთსა და ჩემს ქვეყანაში თუ რამეს მოიგებ, პატივცემული კაცი ხდები, თუ არა, შეგიჯავრებენ. ინგლისში კი ნებისმიერ მომენტში გრძნობ მხარდაჭერას. თავიდან მეუბნებოდნენ, „ჩელსის" ფანებს რანიერი ისე უყვარდათ, შენ მას ვერ გაუტოლდებიო, მაგრამ პრემიერლიგისა და ლიგის თასის მოგებამ ნაწილობრივ განსაზღვრა კიდეც გულშემატკივრების ჩემდამი დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. არ მსურს, ისეთი მწვრთნელის სახელი შემრჩეს, რომელმაც 50-წლიანი შესვენების შემდეგ „ჩელსის" პრემიერლიგა მოაგებინა და მერე ხუთი წლის განმავლობაში ამით ტრაბახობდა.

**— საჩემპიონო ავტობუსით ლონდონის ქუჩებში გაიარეთ. „ჩელსიში" გადმოსვლამდე თუ გაგივლიათ ლონდონში?**

— ბავშვობაში მშობლებთან ერთად ვყოფილვარ, ორიოდ წლის წინ კი ჩემს ქალიშვილთან ერთად ჩამოვედი.

**— ჩემპიონატებს შორის ფეხბურთისგან არ ისვენებთ?**

— არა, რადგან სეზონი ახლოვდება და ბევრი სამუშაო მაქვს. ნებისმიერ ფეხბურთელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოვიდეს და მითხრას, რა პრობლემა აწუხებს. გარდა ამისა, ორი-სამი ახალი მოთამაშე გვჭირდება და ამ საკითხს აბრამოვიჩი და კინიონი აგვარებენ. მოკლედ, საქმე არ მაკლია.

**— მომავალ სეზონში „ჩელსის" ძირითადი შემადგენლობა და სათამაშო ყაიდა რამდენად შეიცვლება?**

— უმნიშვნელოდ. გუნდი უკვე შეთამაშებულია და რაღაც-რაღაცეების დახვეწა გვჭირდება.

**— რას გეგმავთ მომდევნო ხუთ წელიწადში?**

— მე ისევ ვამტკიცებ, რომ ევროთასის მომგები გუნდი საუკეთესო არაა. ორმატჩიან შეხვედრებში ყველაფერია მოსალოდნელი. მაგალითად, „ლივერპულმა" ჩემპიონთა თასი აიღო, მაგრამ პრემიერლიგაში მათ 37 ქულით გავუსწარით. უკეთესია ის გუნდი, რომელიც ჩემპიონატში იმარჯვებს. ამიტომ მომავალ ხუთ წელიწადში პრემიერლიგის, რაც შეიძლება მეტჯერ მოგებას ვაპირებთ და იმავდროულად, ჩემპიონთა ლიგაშიც ვიბრძოლებთ.

**— რამ განაპირობა მედიისგან თქვენდამი განსაკუთრებული ყურადღება?**

— ალბათ იმ ფაქტმა, რომ შარშან აქ, „პორტუდან" ჩემპიონთა თასის მოგების მეორე დღეს თავაწეული მოვედი და ყველა ალმაცერად მიყურებდა. მეუბნებოდნენ, ინგლისი პორტუგალია არ გეგონოთ, ზოგმა კი ჩემი კვალიფიკაცია ეჭვქვეშ დააყენა. ვფიქრობ, ორი ჯილდოს მოგებით ყველას საკადრისი პასუხი გავეცი.

**— მედიას ხშირად აძლევდით სალაპარაკო თემას...**

— სულაც არ მინდა, რომ პირველ გვერდებზე ჩემი სურათები სჭარბობდეს. მე მხოლოდ ვპასუხობ იმაზე, რასაც მეკითხებიან და „ჩელსის" ინტერესებს ვიცავ.




ჟოზე მაურინიუმ პირველსავე ინგლისურ სეზონში ლონდონურ „ჩელსის" ორი ტიტული მოაგებინა

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

#### ავსტრია. ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 ივლისი | | | | | | | | |
| 21:30 | 2 | რაპიდი-შტურმი | 1.50 | 3.70 | 5.00 | 1.06 | 1.15 | 2.12 |
| 21:30 | 3 | რიდი-ტიროლი | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 21:30 | 4 | მატერსბურგი-პაშინგი | 2.10 | 3.00 | 3.10 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 21:30 | 5 | ადმირა-აუსტრია | 3.60 | 3.20 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |

#### ავსტრია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 ივლისი | | | | | | | | |
| 21:00 | 6 | კაფენბერგი-ალტახი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 21:00 | 7 | გრატკორნი-ლეობენი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 21:00 | 8 | კუფშტაინი-შვანენშტადტი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 21:00 | 9 | აუსტრია(ლ)-ლინცერი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 21:00 | 10 | კერნტენი-აუსტრია(მ) | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |

#### შვეიცარია. სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 ივლისი | | | | | | | | |
| 21:30 | 11 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 16 ივლისი | | | | | | | | |
| 21:30 | 12 | გრასჰოპერი-ივერდონი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 21:30 | 13 | სტ.გალენი-ციურიხი | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 21:30 | 14 | თუნი-აარაუ | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 21:30 | 15 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |

#### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 ივლისი | | | | | | | | |
| 21:30 | 16 | ბადენი-ლუგანო | 2.80 | 3.10 | 2.20 | 1.47 | 1.23 | 1.28 |
| 21:30 | 18 | კონკორდია-იუვენტუსი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 16 ივლისი | | | | | | | | |
| 21:30 | 19 | ლოკარნო-შო დე ფონი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 20 | კიასო-ბელინცონა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:30 | 22 | სიონი-ლუცერნი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 21:30 | 23 | კრინსი-ვოლენი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:30 | 24 | ლოზანა-ვინტერთური | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 17 ივლისი | | | | | | | | |
| 18:00 | 17 | ვადუცი-მეირინი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 16:30 | 21 | ბოლმი-ვილი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |

#### სლოვაკეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 ივლისი | | | | | | | | |
| 20:00 | 33 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 35 | ჟილინა-ნიტრა | 1.45 | 3.60 | 6.40 | 1.03 | 1.18 | 2.30 |
| 20:00 | 36 | რუჟომბეროკი-ინტერი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 20:00 | 37 | პეტრჟალკა-ტრნავა | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

#### ნორვეგია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 ივლისი | | | | | | | | |
| 18:00 | 38 | პორს გრენლანდი-ალტა | 1.35 | 4.50 | 6.00 | 1.03 | 1.10 | 2.57 |
| 17 ივლისი | | | | | | | | |
| 20:00 | 39 | ბრინი-სტაბეკი | 2.35 | 3.70 | 2.40 | 1.43 | 1.18 | 1.45 |
| 20:00 | 40 | მანდალი-ჰიოდი | 1.65 | 4.10 | 3.90 | 1.17 | 1.15 | 1.99 |
| 20:00 | 41 | ლოვ ჰამი-მოსი | 3.60 | 3.80 | 1.75 | 1.84 | 1.17 | 1.19 |
| 20:00 | 43 | კონგსვინგერი-სოგნდალი | 2.20 | 3.60 | 2.70 | 1.36 | 1.21 | 1.54 |
| 20:00 | 44 | ჰიონეფოსი-ფოლო | 1.55 | 4.20 | 4.70 | 1.13 | 1.16 | 2.21 |
| 20:00 | 45 | სანდეფიორდი-სტრიომსგოდსეტი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |

#### შვედეთი. ალსვენსკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 ივლისი | | | | | | | | |
| 19:00 | 47 | ჰელსინგბორგი-იორგრიტე | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 19:00 | 48 | ჰამარბი-ლანდსკრონა | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:00 | 49 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18 ივლისი | | | | | | | | |
| 21:00 | 50 | ასირისკა-ჰეკენი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 21:00 | 51 | იურგორდენი-სუნდსვალი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 21:00 | 52 | კალმარი-ელფსბორგი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |

#### შვედეთი. სუპერეტა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 ივლისი | | | | | | | | |
| 18:00 | 55 | გაის-ბრომაპოიკარნა | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 18:00 | 56 | იოსტერსი-დეგერფორსი | 1.60 | 3.40 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.95 |
| 18:00 | 57 | ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 58 | აიკ-ტრელებორგი | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| 17 ივლისი | | | | | | | | |
| 17:00 | 59 | ფრიოლუნდა-ბოდენსი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 19:00 | 60 | იორებრო-მიალბი | 1.45 | 3.90 | 5.80 | 1.05 | 1.15 | 2.33 |
| 19:00 | 61 | ფალკენბერგი-ნორჩიოპინგი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 19:00 | 62 | ვესტეროსი-ვესბი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |

#### ფინეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 ივლისი | | | | | | | | |
| 20:00 | 63 | როვანიემი-ლაპტი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 20:00 | 64 | ტამპერე-ჰიკ | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 65 | იარო-პაკა | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 17:00 | 66 | კტპ-ლაჰტი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 67 | კუოპიო-მიუპა | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 20:00 | 69 | ტპ 47-როვანიემი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 70 | ალიანსი-ტურკუ | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

**ირლანდია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 79 | უოტერფორდი-ბრეი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 22:45 | 80 | დროგედა-კორკი | 3.10 | 3.00 | 2.10 | 1.52 | 1.25 | 1.23 |
| 22:45 | 81 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 22:45 | 82 | შემროკი-დერი | 2.65 | 3.00 | 2.35 | 1.40 | 1.24 | 1.31 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 83 | ჰერპსი-ბოჰემიანი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |

**იაპონია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 84 | შიმიცუ-ტოკიო | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 85 | ვერდი-კობე | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 14:00 | 86 | იოკოჰამა-იჩიჰარა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 14:00 | 87 | ომია-კავასაკი | 2.10 | 3.10 | 3.05 | 1.25 | 1.24 | 1.53 |
| 14:00 | 88 | ჰიროსიმა-ივატა | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 14:00 | 89 | ჩერეძო-ნიიგატა | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 14:00 | 90 | კაშივა-ურავა | 3.20 | 3.10 | 2.00 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| 14:00 | 91 | ნაგოია-კაშიმა | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| 14:00 | 92 | ოიტა-გამბა | 2.65 | 3.10 | 2.30 | 1.42 | 1.23 | 1.32 |

**აშშ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 102 | ვაშინგტონი-სან ხოსე | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 103 | ჩიკაგო-კოლამბუსი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 104 | ნიუ იორკი-კოლორადო | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 23:45 | 105 | ნიუ ინგლენდი-დალასი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 23:45 | 106 | კანზასი-სოლტ ლეიკი | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:45 | 107 | ლოს ანჯელესი-ჩივასი | 1.45 | 3.60 | 6.20 | 1.03 | 1.17 | 2.27 |

**ჩემპიონთა ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 124 | დუდელანჟი-ზრინსკი | 4.80 | 3.60 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |
| 22:45 | 127 | ლივერპული-ტნს | 1.01 | 10.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 7.50 |
| 19:30 | 128 | პაკა-პუნიკი | 1.50 | 3.70 | 5.20 | 1.06 | 1.16 | 2.16 |
| 22:00 | 129 | გლენტორანი-შელბურნი | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 22:00 | 130 | ტორშავნი-კაუნასი | 4.80 | 3.60 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 163 | გლადბახი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **14 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 170 | კიოლნი-ბეშიქთაში | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |

**რუსეთი. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 10:00 | 197 | ოკიანე-სპარტაკი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 16:00 | 198 | ამკარი-ლადა | 1.30 | 4.50 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.81 |
| 16:00 | 199 | ვიტიაზი-რუბინი | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 16:00 | 200 | სპარტაკი(კოსტრ)-ტომი | 2.90 | 3.00 | 2.35 | 1.47 | 1.29 | 1.31 |
| 16:00 | 201 | ტორპედო ვლ-ცსკა | 8.00 | 3.70 | 1.35 | 2.52 | 1.15 | 1.00 |
| 16:00 | 202 | შინიკი-მეტალურგი ლიპეცკი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 12:00 | 203 | ლუჩი-როსტოვი | 1.55 | 3.30 | 5.80 | 1.05 | 1.22 | 2.10 |
| 17:00 | 204 | ალანია-ლოკომოტივი ჩიტა | 1.25 | 4.90 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.17 |
| 16:00 | 205 | დინამო ბრ-დინამო მ | 8.00 | 4.60 | 1.30 | 2.92 | 1.11 | 1.01 |
| 16:00 | 207 | ლოკომოტივი-მეტალურგი კუზ | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 16:00 | 208 | სატურნი-ურალი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 16:00 | 209 | ტერეკი-სპარტაკი ნალჩიკი | 1.55 | 3.70 | 4.70 | 1.09 | 1.16 | 2.07 |
| 20:00 | 210 | ყუბანი-ზენიტი | 3.60 | 3.00 | 1.95 | 1.63 | 1.26 | 1.18 |

**შვედეთი. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 188 | გაისი-ჰალმსტადი | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |

**ხორვატია. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 189 | ჰაიდუკი-რიეკა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |

**ოქროს თასი (აშშ)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 194 | გვატემალა-სამხ. აფრიკა | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 23:45 | 195 | მექსიკა-იამაიკა | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |

**ლიბერტადორესის თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 196 | სან პაულუ-ატლეტიკო პრ | 1.45 | 3.80 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.29 |




CROCO
BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „ღელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ევროპის ჩემპიონატი B დივიზიონი
ვარნა 8-17 ივლისი

# პირველი მარცხი

## ქართველებმა სლოვაკებთან გამოიძინეს



კანდელაკმა შეგირდები სლოვაკეთთან ვერ გამოაფხიზლა

**მეოთხე** ტური უიღბლო გამოდგა ქართველი კალათბურთელებისთვის. ნიკოლოზ კანდელაკის გუნდმა საწყისი სამი მატჩის შემდეგ პირველად წააგო — მას მოწინავე ... დამარცხებული სლოვაკეთის ნაკრები.

ქართველები რომ სამი მოგებით გულდაარხეინებულნი გავიდნენ მოედანზე, ეს თავად ნუგზარ კანდელაკმაც აღიარა, ვის კომენტარსაც ზემოთ შემოგთავაზებთ, ახლა კი მატჩზე.

თავიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა უფრო ხშირად სლოვაკები იყვნენ წინ. განსაკუთრებით მათი ლიდერები — პეტერ სედმაკი და გაბრიელ ... ... გამოირჩეოდნენ. ხშირად ... აქტიურობით მოიპოვეს სლოვაკებმა პირველი სერიოზული უპირატესობა (15:8), მაგრამ არავინ რომ არ ელოდა, ნიკა ჩხატარაშვილის მიერ 2 სამქულიანი მიითვალა, მას გამყრელიძე და საყვარელიძეც წაეშველნენ და საწყისი მეოთხედი ფრედ, 19:19 დასრულდა.

მეორე პერიოდიც თანაბრად დაიწყო, თუმცა მერე ჩვენებმა ჩათვლიმეს. გიორგი ცინცაძემ საპირველობით სირენამდე 2 წუთით ადრე ზუსტად გატყორცნა სამიანი, საქართველო 32:29 დაწინაურდა და... ამის შემდეგ მან მიერ 2-ჯერ დააგდო ბურთი, იგივე ჩხატარაშვილსაც მოუვიდა, სლოვაკებმა ტაიმის ბოლო ორწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოიგეს და შესვენებაზე 6-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ (38:32).

მესამე წარმატებით ტყორცნიდა სამიანებს, ჩვენები კი შორიდან მიზანში ძალიან იშვიათად არტყამდნენ და ამიტომაც კანდელაკმა ტაქტიკა შეცვალა — სლოვაკებს ფარქვეშიდან შეუტია.

სამწამიანში დიდი მონდომებით იბრძოდა გიორგი მდივანი, რომელმაც რამდენჯერმე იხეირა და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა, თუმც შემდეგ მიზანი წაუხდა. ამასობაში რადოსლავ ზუდელმა საჭირო სამიანი მიითვალა, მას ქალაიც შეეხიდა და სლოვაკეთი 8 ქულით დაწინაურდა. გიო ცინცაძის სამქულიანმა ქართველებს სულზე მიუსწრო და გადამწყვეტი მეოთხედის წინ ჩვენები 5-ქულიანი დეფიციტით გავიდნენ.

ბოლო ათწუთეულმა კატათაგვობანაში ჩაიარა. თავის როლში, სამწუხაროდ, ქართველები იყვნენ, რომლებიც დიდი გაჭირვებით შეამცირებდნენ ხოლმე სხვაობას, სლოვაკებს 2-3 ქულით მიუახლოვდებოდნენ, მაგრამ...

სირენამდე 3 წუთზე ადრე ჩვენები ქულით მიუახლოვდნენ სლოვაკებს, როცა საყვარელიძემ ქართველთა უიღბლობის ნავსი გატეხა და მიჯრით 4 ქულა მიითვალა. თუმც ეს იყო და ეს, ჩვენებმა მეტი ველარაფერი შეძლეს. კანდელაკის სამწყსომ მეტოქის საჯარიმოში ველარ შეაღწია და სამქულიანებით ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას, რაც არ გამოუვიდა.

ისე, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამქულიანები საშინლად ტყორცნეს ჩვენებმა და განსაკუთრებით გამყრელიძე-ვაშაკიძემ. მათ „ანგარიშზე" 5-5 აცილებული სამიანია.

ნამატჩევს კანდელაკი მთლად კარგ ხასიათზე ვერ იქნებოდა, მაგრამ ოპტიმიზმი კი ნამდვილად არ აკლდა.

— იმიტომ წავაგეთ, რომ ბიჭები ძალიან მოდუნებულები და თავდაჯერებულნი იყვნენ. მათ ვერ ვცნობდი, ლამის იყო, სათადარიგო სკამზე ჩასძინებოდათ. თანაც სამი მოგებით გული დაიარხეინეს, მეტოქე კი პირიქით, ძალიან მოტივირებული გამოვიდა. სლოვაკებს ეს თამაშიც რომ წაეგოთ, საერთოდ პლეი ოფის გარეთ დარჩენის საფრთხე ემუქრებოდათ.

**— მოგება ხომ თქვენც გჭირდებოდათ?..**

— ცხადია, მოგება გვინდოდა, მაგრამ ამ წაგებით მთლიანობაში არაფერი იცვლება. წაგება, რა თქმა უნდა, საგანგაშოა, მაგრამ კარგი ისაა, რომ სატურნირო თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. ჩვენმა ბიჭებმა ცუდად ითამაშეს, მაგრამ კარგია, რომ ჩავარდნა ჯგუფში, ნაკლებმნიშვნელოვან მატჩში მოგვივიდა. ეს მარცხი გამოგვაფხიზლებს და იმედია, იგივე აღარ განმეორდება.

**— ახლა რა არის თქვენი მიზანი?**

— თუ ხვალ პოლონეთს მოვუგებთ, მაინც პირველ ადგილზე გავდივართ, მაგრამ ახლაც არ ვიცი, გვაძლევს თუ არა ხელს ჯგუფში გამარჯვება.

**— ბულგარელების არიდებას გულისხმობთ?**

— დიახ, მასპინძლებთან დაპირისპირება ხელს არანაირად არ გვაძლევს. თუ დღეს შვედეთი უნგრეთს მოუგებს, ხოლო ბელგია ბულგარეთთან დამარცხდება, ეს უკანასკნელი სავარაუდოდ პირველზე გავა. ასეთ შემთხვევაში ჩვენც პირველობა გვჭირდება, თუ არადა, არა.

**— ოთხი თამაში მოილიეთ და როგორ ფიქრობთ, გახვალთ A დივიზიონის საგზურის მომტან ფინალში?**

— გააჩნია, ვინ შეგვხვდება პლეი ოფში, ისე კი, წარმატების იმედი, რა თქმა უნდა, მაქვს. იმასაც დავამატებ, რომ მიზნის მიღწევა ძალიან გაგვიძნელდება.

**ირაკლი პერტაია**

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები სამი მატჩის ჯამში

| | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცინცაძე | 37 | 16 | 5 | 1 | 6 | 5 |
| ფარლალავა | 10 | - | 1 | - | - | - |
| საყვარელიძე | 27 | 14 | 3 | 1 | 2 | 4 |
| იმნაძე | 20 | 8 | 2 | - | - | 2 |
| ათუაშვილი | 12 | 2 | 2 | - | - | 2 |
| გამყრელიძე | 30 | 27 | 2 | 6 | 1 | 2 |
| მდივანი | 23 | 12 | 12 | - | - | 2 |
| ჩხატარაშვილი | 25 | 6 | 2 | - | - | 2 |
| ვაშაკიძე | 15 | - | 1 | - | 2 | 2 |
| მამაცაშვილი | 2 | - | - | - | - | - |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

**A ჯგუფი**

**სლოვაკეთი 71:65 საქართველო**
**ირლანდია 79:50 ისლანდია**
**პოლონეთი — ფინეთი**
*გვიან დასრულდა*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 3 | 1 | 311:251 | 7 |
| პოლონეთი | 3 | 3 | 0 | 256:149 | 6 |
| სლოვაკეთი | 4 | 2 | 2 | 305:287 | 6 |
| ფინეთი | 3 | 2 | 1 | 224:211 | 5 |
| ირლანდია | 4 | 1 | 3 | 272:300 | 5 |
| ისლანდია | 4 | 0 | 4 | 217:347 | 4 |

**B ჯგუფი**

**უნგრეთი 70:60 შვედეთი**
**პორტუგალია 82:57 ალბანეთი**
**ბულგარეთი 73:71 ბელგია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 4 | 4 | 0 | 362:285 | 8 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 1 | 329:319 | 7 |
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 336:273 | 6 |
| შვედეთი | 4 | 2 | 2 | 275:266 | 6 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 3 | 277:291 | 5 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 4 | 240:385 | 4 |



# ასიანი კოკაი

## ქართველი იოკოძუნას საძმოს დაუპირისპირდა



**2005 წლის** სეზონის მეოთხე დიდ ტურნირზე, ნაგოიას ბაშოზე სამი ტური გაილია და უმაღლეს დივიზიონ მაკუტის მკვიდრ დიდკაცთაგან დაუმარცხებელი ხუთიღა დარჩა. იქნებ მიმოხილვა სხვანაირად დაგვეწყო, ლიდერთა შორის ჩვენი კაცი რომ არ იყოს. კოკაიმ მესამე მეტოქე, 113-კილოგრამიანი ამა სამიოდ წამში დაამარცხა. „მშვიდ ცხენად" წოდებულ სეკივაკეს „შავმა ზღვამ" კორპუსში ორივე ხელით ოთხჯერ დაჰკრა და 4,55 მეტრ დიამეტრიან სარბიელს მიღმა დასცა.

ასპროცენტიანი შედეგებითვე იწონებენ თავს რიგითი მაეგაშირები — ივაკიამა და კისენოსატო, ოძეკი ტოჩიაძუმა და, რაღა თქმა უნდა, იოკოძუნა ასასიორიუ. გუშინ „ცისფერი დრაკონის" ლუკმა 24 წლის იაპონელი ფუტენო გახდა. სეკიტორი, რომელთანაც შვიდი წლის წინათ სასკოლო შეჯიბრზე წაეგო და მას შემდეგ აღარსად გადაჰყროდა, იოკოძუნამ 14 წამში წამოაქცია.

180-კილოგრამიანმა ექს-კომუსუბი ივაკიამამ და ყველაზე ახალგაზრდა სეკიტორიმ, 19 წლის კისენოსატომ, ადვილად, ცუპარებით (კორპუსში მიწოლით) იმარჯვეს, ხოლო ტოჩიაძუმამ ნახევარწუთიანი მძიმე ბრძოლა გადაიტანა.

დღეს კოკაი ასასიორიუს პატარა „ძმას", „წითელ დრაკონად" მონათლულ ასასეკირიუს დაეჭიდება, რომელსაც აქამდე 4-ჯერ შეხვედრია, 2-ჯერ მოუგია, 2-ჯერაც დამარცხებულა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# დავიდი და ხულიგანი

## ლეგენდარულ ძიუდოისტს სიკვდილით დაემუქრნენ

**მსოფლიოს** ოთხგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, ფრანგმა ძიუდოისტმა დავიდ დუიემ პოლიციას მიმართა, მოკლით დამემუქრნენო. ინციდენტი პარიზთან ახლოს მოხდა.



ლეგენდარული სპორტსმენი მეუღლესთან ერთად ველოსიპედით სეირნობდა, როცა მავანმა ავტოხულიგანმა საშინელი სისწრაფით რამდენიმე სანტიმეტრით ჩაუქროლათ. ცოტა ხანში დუიეს ის მანქანა შუქნიშანთან შეუნიშნავს, მძღოლთან მისულა და ახსნა-განმარტება მოუთხოვია. „შეშფოთებული კი ვიყავი, მაგრამ ძალიან მშვიდად გამოველაპარაკე — ამბობს ძიუდოისტი — პასუხად კი აგრესიული ტონი და მუქარები მივიღე. ზედიზედ რამდენჯერმე გამიმეორა, რომ მეც მომკლავდა და ჩემს მეუღლესაც".

დავიდი მძღოლს გაეცალა და მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა. სამართალდამცავები სწრაფადვე აედევნენ ხულიგნის ავტომობილს. ივი არ დაემორჩილათ და კარგა ხანს სდიეს. დაკავებულ ეჭვმიტანილს მკვლელობის მუქარის გარდა დაუმორჩილებლობა და პოლიციელებისადმი უხეშობა წაუყენეს ბრალად. საქმე 19 აგვისტოს ვერსალის სასამართლოში გაირჩევა, მანამდე კი დაკავებულს ფსიქოლოგიურად გამოიკვლევენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთას გადავავლოთ თვალი

*საქართველოში თუ სპორტის რომელიმე სახეობა სახელმწიფოსგან უდიდეს მხარდაჭერას უნდა იმსახურებდეს ერთ-ერთი უპირველესი მთამსვლელობაა. სპორტს რომ თავი დავანებოთ, მთამსვლელობა შემეცნებისა და პატრიოტიზმის გაღვივების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მთამსვლელობის ელემენტარული უნარ-ჩვევების დაუფლება ჩვენი მთა-გორიანი სამშობლოს დაცვის ერთ-ერთი გარანტიაცაა. ყოველივეში მკითხველიც დაგვეთანხმება, თუ წაიკითხავს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შოთა მირიანაშვილის სტატიას, რომელშიც საუბარია ქართული ალპინიზმის წარსულზე, აწმყოსა და სამომავლო პერსპექტივებზეც.*

**ქართველ** მთამსვლელებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ეროვნული სპორტის საგანძურში. სსრკ ჩემპიონატებზე ჩვენმა გუნდებმა 11 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედლების კომპლექტი მოიპოვეს.

ჩვენი მთამსვლელები წარმატებით გამოდიოდნენ ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის, ასევე საკავშირო სპორტული საზოგადოებების („მეტალურგი", „სპარტაკი") ნაკრები გუნდების შემადგენლობაშიც. მათი სახელით ქართველმა მთამსვლელებმა 4 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

მთამსვლელობა საქართველოში, ისევე როგორც ქვეყნისთვის ბევრი სხვა სასიკეთო წამოწყება, ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტიდან იღებს სათავეს და მისგან საზრდოობს, პირველი ასვლები კი მყინვარწვერთანაა (5043მ.) დაკავშირებული. ამ ლეგენდად ქცეულ ისტორიულ ასვლებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით, 1923 წლის 28 აგვისტოს (18 მონაწილე) და 3 სექტემბერს (7 მონაწილე) ხევის პატარძალზე განხორციელდა, გიორგი ნიკოლაძე და ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდნენ. ასვლების მონაწილეთა უმრავლესობა სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები იყვნენ.

1924-1928 წლებში (საწყისი ეტაპი) მთამსვლელობის განვითარებას ქვეყანაში საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან შექმნილი „მთამსვლა-მგზავროსნობის" განყოფილება წარმართავდა, რომლის პირველ თავმჯდომარედ გიორგი ნიკოლაძე იყო არჩეული.

ამ ფუნქციას, სპორტული ფედერაციების ორგანიზაციულ ფორმაზე გადასვლამდე (1929-1957წწ.), რესპუბლიკური სამთო სექცია ასრულებდა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, თსუ-ს რექტორი, ბატონი ნიკო კეცხოველი ედგა სათავეში. 1958 წელს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პირველ კონფერენციაზე ფედერაციის თავმჯდომარედ, ასევე ბატონი ნიკო კეცხოველი აირჩიეს.

ამ თანამდებობაზე ბატონი ნიკო ოთარ გიგინეიშვილმა შეცვალა, რომელიც ქართული მთამსვლური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე ქართველ მთამსვლელთა პირველი სერიოზული წარმატებები პამირის მთიანეთში (1954-1957 წლებში). მისი ხელმძღვანელობით სსრკ ჩემპიონატებზე ჩვენმა მთამსვლელთა გუნდებმა მოიპოვეს ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი.

1984-1989 წლებში ფედერაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი ენათმეცნიერი სარგის ცაიშვილი. მისი გადადგომის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას (1989-1991 წლები) ასრულებდა ვიცე-პრეზიდენტი გივი ქართველიშვილი.

1991 წელს, მორიგ საარჩევნო კონფერენციაზე, რომელშიც არ მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების სექციები, კლუბები, თბილისისა და ქუთაისის მთამსვლელთა ფედერაციები, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციას სახელი შეუცვალეს. იგი საქართველოს მთამსვლელთა და მეკლდეურთა ასოციაციად დარეგისტრირდა. ასოციაციის პრეზიდენტად გივი ქართველიშვილისა და მის თანამოაზრეთა რეკომენდაციით, თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი რაქვიაშვილი აირჩიეს.

1997 წელს, ფედერაციის საარჩევნო კონფერენციაზე, ფედერაციას ტრადიციული სახელი დაუბრუნდა და იგი კვლავ — საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციად იწოდება.

მთლიანად განახლდა ფედერაციის მმართველი ორგანო — პრეზიდიუმიც.

ფედერაციას სათავეში ჩაუდგა ცნობილი მოსიმაღლე მთამსვლელი გია თორთლაძე.

1997 წლის კონფერენციაზე მთამსვლელებს მეკლდეურები გამოეყვნენ და დამოუკიდებელი კავშირი დააფუძნეს — „საქართველოს კლდეზე ცოცვის ფედერაცია". მის პირველი პრეზიდენტად აირჩიეს ცნობილი მეკლდეური, სპორტის ოსტატი ლადო გურჩიანი.

გია თორთლაძის პრეზიდენტობის პერიოდში შეიქმნა ახალი სექციები და კლუბები. ქართველი მთამსვლელები გავიდნენ საერთაშორისო სარბიელზე: ჰიმალაებში გია თორთლაძის ხელმძღვანელობით, ქართველმა მთამსვლელებმა განახორციელეს ასვლები რვაათასიან პიკებზე, მათ შორის მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (8848 მ.).

2001 წელს თბილისში დაფუძნდა მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაცია, რომლის პირველ პრეზიდენტად გია თორთლაძე აირჩიეს. ეს ორგანიზაცია გახდა პირველი საერთაშორისო სპორტული კავშირი, რომლის შტაბბინაც თბილისშია განთავსებული.

2001 წლის 16 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია, რომელზეც თორთლაძის წინადადებით, პრეზიდენტად, ერთხმად აირჩიეს თქვენი მონა-მორჩილი, ამ სტრიქონების ავტორი, სსრკ ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი.

იმავე 2001 წლის 18 მაისს თბილისში დაფუძნდა მთამსვლელთა ახალი კავშირიც — საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია. ახლადშექმნილი კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს სსრკ ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, სპორტის ოსტატი გივი ქართველიშვილი.



ვინც ქართულ ალპინიზმში ოდნავ მაინც ჩახედულია, კარგად უწყის, რომ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია არის უფლებამონაცვლე იმ მძლავრი ეროვნული მოძრაობისა, რომლის სათავეებთან იდგნენ გიორგი ნიკოლაძე, ალექსანდრე დიდებულიძე და ათობით სხვა გამორჩეული ქართველი მამულიშვილი და რომლის წინსვლასა და ღირსებას ათობით სახელოვანი ქართველი რაინდის სიცოცხლე შეეწირა: სიმონ ჯაფარიძე, პიმენ დვალი (თეთნულდი, 1929); შოთა მიქელაძე (მყინვარწვერი, 1932); ალიოშა ჯაფარიძე, ქალეჟები ონიანი, ნიკოლოზ მუხიანი (უშბა, 1945); ილია გაბლიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე (ტიან-შანი, 1967); გურამ თიკანაძე (შხარა, 1963); მიხეილ ხერგიანი (სუალტო, ალპები, 1969); ვიქტორ რიბინსკი, დავით მეძმარიაშვილი (როსიის პიკი, პამირი, 1980); ირაკლი გელდიაშვილი, გიორგი ზუმბაძე, მურად ჭიჭინაძე, ლევი თარხნიშვილი (უშბა, 1984წ) და მრავალი სხვა.

ქართულ ალპინიზმში შექმნილ პრობლემათა სწორი ანალიზი შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ მთამსვლელობის განვითარების ვექტორი საქართველოში სტუდენტურ მთამსვლელობაზეა ორიენტირებული (მისი წვლილი ქართულ ალპინიზმში 90 პროცენტს სჭარბობს).

სტუდენტური მთამსვლელობის ფლაგმანი ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტია. ქართველ მთამსვლელთა 75 პროცენტზე მეტი თსუ-ს გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპკლუბის (1923-1989 წლებში თსუ-ს ალპსექცია) აღზრდილია.

ეს ტენდენცია დღესაც შენარჩუნებულია. მხოლოდ (2000-2004) წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ მასობრივ ასვლებში (სამთო ბანაკები) და სპორტულ-საკვალიფიკაციო შეკრებებში მთამსვლელობას ეზიარა ან აიმაღლა მთამსვლური კვალიფიკაცია 1500-ზე მეტმა ახალგაზრდამ, რომელთა უმეტესობაც წვევამდელია.

**შოთა მირიანაშვილი,**
**საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი**

**(დასასრული იქნება)**


ტონი ბლერი და დევიდ ბექჰემი სინგაპურში

AFP სინგაპურიდან

# თავდასხმა ლონდონზე
## მიკიბულ-მოკიბული ამბები, ზღაპრები თუ სინამდვილე

სინგაპურში დამთავრდა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატ ქალაქებს შორის კენჭისყრა და უმალ ათასი მითქმა-მოთქმა დაიწყო. ჭორ-მართალი ისე აირია, რომ ჭეშმარიტების დადგენა ახლა მეტად ძნელია, მაგრამ უცნაური ისაა, რომ თავად ბრიტანეთშიც გამოჩნდნენ ფეხის ხმას აყოლილნი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ლონდონმა არაკეთილსინდისიერი გზით მოიპოვა გამარჯვებაო.

**ბრიტანეთის** „ობსერვერი" ირწმუნება, რომ კანდიდატი ქალაქების დიდმოხელეებმა აღმოაჩინეს, რომ ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და „ფორმულა 1"-ის მარკეტინგულ უფლებათა მფლობელმა ბერნ ეკლსტოუნმა დადეს საიდუმლო გარიგება, რათა მხარდაჭერა აღმოეჩინათ ლონდონისთვის.

„ობსერვერის" თქმით, ლონდონსა და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ხელში ჩაგდების სხვა მოსურნეთა (მადრიდის, მოსკოვისა და ნიუ იორკის) წარმომადგენლებს შორის შედგა შეთანხმება, რათა არ დაეშვათ პარიზის გამარჯვება, რომელიც აშკარა ფავორიტი იყო. სხვა ქალაქ პრეტენდენტთა ლიდერები შეთანხმდნენ, რომ თუ ოლიმპიურ რბოლას გამოაკლდებოდნენ, მაშინ თავიანთ მომხრეებს თხოვდნენ მხარი დაეჭირათ ლონდონისთვის.

„ობსერვერი" იმასაც ირწმუნება, რომ ბლერმა და პუტინმა მოსკოვში მოილაპარაკეს, რათა ლონდონისთვის ხმა მიეცათ მოსკოვის მომხრეებს.

თავის მხრივ, რუსეთი ცდილობს დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას, რათა დაარწმუნოს ოლიმპიური ლონდონის ფარული ლობისტი ბერნ ეკლსტოუნი, რათა მან დაიწყოს მოლაპარაკება მოსკოვში თავისი რბოლების ჩასატანად.

და თუ ეს ყოველივე მართალია, მაშინ გასაგებია ვლადიმერ პუტინის ოლიმპიური სიმშვიდე, რომელიც მან მოსკოვის დამარცხებასთან დაკავშირებით გამოხატა. აღმოჩნდა, რომ იგი ამ წარუმატებლობას უგუნებოდ სულაც არ დაუყენებია, რადგან გამარჯვებისა არც სჯეროდა.

„მე სრულიადაც არ გავნაწყენებულვარ, რადგან ვიცოდი, რომ საეჭვო იყო მოსკოვის გამარჯვება" — უთხრა „რია ნოვოსტის" ვლადიმერ პუტინმა.

პუტინმა ისიც აღნიშნა, რომ ოლიმპიურ ბრძოლაში მოსკოვის ჩაბმის იდეა იური ლუჟკოვისა იყო, რომელსაც სოკ-ის ზოგიერთი წევრიც ემხრობოდა.

ტონი ბლერს უსამართლო ბრძოლაში სხვებიც უკიჟინებდნენ. მაგრამ ახლა მას ბრალდება მოუხსნეს. ამ ბრალდების მიხედვით ბლერმა თითქოს და დაარღვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესები.

ბრიტანეთის ლიდერს, კერძოდ, ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ფინალურ კენჭისყრამდე იგი პირადად შეხვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, რითაც მისი წესები დაარღვია.

მაგრამ, აი, სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ამ ბრალდებას უსაფუძვლო უწოდა.

„ლონდონმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ მას ჰქონდა მშვენივრად შედგენილი განაცხადი. ლონდონს ჰქონდა საუკეთესო საგანაცხადო წიგნი" — დასძინა ჟაკ როგმა.

პარიზის საგანაცხადო კომიტეტის წარმომადგენლებმა დაიჩივლეს, რომ ტონი ბლერი სინგაპურში კენჭისყრამდე სამი დღით ადრე ჩავიდა, ამან კი, მათი მტკიცებით, სხვა კანდიდატი ქალაქები, პირველ რიგში კი პარიზი, ნაკლებად მომგებიან პოზიციაში ჩააყენა.

( — საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი სინგაპურში მხოლოდ კენჭისყრის წინ ჩავიდა), მაგრამ ჟაკ როგი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და ამბობს:

— იმის მიუხედავად თუ რას ამბობენ კანდიდატ ქალაქთა წარმომადგენლებს წესი არავის დაურღვევია.

ჟაკ როგი ამასთან ერთად ამბობს:

— არ მჯერა, რომ ტონი ბლერს სოკ-ის რომელიმე წევრისთვის ეთხოვოს ლეიბორისტულ პარტიაში შესვლა."

სოკ-ის მეთაურის განცხადების მიუხედავად, პარიზი მაინც აგრძელებს ლონდონზე თავდასხმას. მაგალითად, პარიზის მერმა ბერტრან დელანოემ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და საგანაცხადო კომიტეტის ხელმძღვანელი სებასტიან კოე დაადანაშაულა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად „უსამართლო ბრძოლაში".

„ბლერი და კოე არ იცავდნენ წესებს — თქვა დელანოემ, როცა იგი პარიზის მუნიციპალური საბჭოს სხდომაზე გამოვიდა — მე არ ვამბობ, რომ მათ აკრძალულ ზღვარს გადააბიჯეს, ისინი უბრალოდ სხვა მხარეს წავიდნენ."

ამავე დროს, ბერტრან დელანოემ დასძინა, რომ „ლონდონის გამარჯვება დაფუძნებული იყო არა ოლიმპიზმზე, არამედ სხვა რაღაცაზე."

დელანოეს თქმით, პარიზის საგანაცხადო კომიტეტის წარმომადგენელებმა „გააკეთეს თავიანთი არჩევანი, მათ შორის კორუფციასთან დამოკიდებულებაში". „ჩვენ არავისთან არ დავმარცხებულვართ დოსიეს შედგენის ხარისხში, არც ოლიმპიური [illegible] მაში და არც [illegible]."

ერთი სიტყვით, პარიზის მერმა რაღაც მიკიბ-მოკიბა.

ამასთან დაკავშირებით ტონი ბლერმა განაცხადა, რომ ჟაკ როგის მერე ჩემს ნათქვამს ვეღარაფერს დავამატებო.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა კანდიდატი ქალაქი არ ადანაშაულებს ლონდონს. მეტიც, მადრიდელები ლონდონელებისგან მაგალითის აღებას აპირებენ. ესპანეთის დედაქალაქის საგანაცხადო კომიტეტის მეთაურმა ფელისიანო მაიორალმა განაცხადა, რომ ჩვენ ლონდონისგან უნდა ავიღოთ მაგალითი, როცა 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის დავიწყებთ ბრძოლასო.

„ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს შანსი, თუ კიდევ ერთხელ ვეცდებით, მაგრამ ამის გარანტიას, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ მოგვცემს" — თქვა ფელისიანო მაიორალმა და იქვე დასძინა:

„ჩვენ გვჭირდება კარგი საერთაშორისო ლობი, რათა მადრიდმა 2016 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ გაიმარჯვოს."

მისივე აზრით, ლონდონის გამარჯვება მოსახლეობის არც თუ იხე ძლიერი მხარდაჭერის პირობებში განაპირობა სწორედ კარგმა ლობირებამ.

და მაინც არ ისვენებენ ლონდონის სხვა მოწინააღმდეგენი. ბრიტანეთის დედაქალაქში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ ისინი ხავსს ჩაეჭიდნენ და იქიდან ოლიმპიური თამაშების გადატანაზე ჩამოაგდეს სიტყვა.

„ლონდონიდან ოლიმპიური თამაშების გადასატანად ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ" — თქვა ჟაკ როგმა.

ოლიმპიური მოძრაობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ორგანიზაციის თითოეული წევრი დარწმუნებულია, რომ ბრიტანეთის ხელისუფალნი ყოველ ღონეს იხმარენ უხიფათობისთვის. ჟაკ როგმა ისიც შეგვახსენა, რომ ტერორისტები ნებისმიერ ქალაქს შეიძლება დაემუქრონო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



### ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

# ლენს არმსტრონგმა ველორბოლას მომავალი უწინასწარმეტყველა



**გუშინ**, ერთდღიანი შესვენების შემდეგ „ტურ დე ფრანსი" განახლდა და სპორტსმენები ერთ-ერთ ყველაზე რთულ, მაგრამ თვალწარმტაც ეტაპს შეუდგნენ.

საფრანგეთის ალპების დედაქალაქად წოდებული გრენობლიდან, ველომხედრები ევროპის ამ ულამაზესი მთათა სისტემის ნაწილის დასალაშქრად დაიძრნენ, ფინიში კი 192,5 კმ-ის შემდეგ მსოფლიოში უდიდეს სამთო-სათხილამურო კურორტ კურშველში ელოდათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლენს არმსტრონგმა ლიდერობა დაიბრუნა. ამერიკელმა ადვილად დაძლია 13,5 კმ-იანი კურშველის აღმართი, მის უახლოეს მდევრებს კი მონაკვეთის გავლისას ისეთი ტანჯული სახეები ჰქონდათ, ნამდვილად შეგეცოდებოდათ.

არმსტრონგმა ფინიშის ხაზი ესპანელი ალეხანდრო ვალვერდეს შემდეგ გადაკვეთა მესამეზე კი წინა ეტაპის გამარჯვებული მიკაელ რასმუსენი გავიდა. ვალვერდეს და არმსტრონგს დანიელი 9 წამით ჩამორჩა, საერთო ჩათვლაში კი მეორე ადგილზე აღზევდა.

რბოლის დასასრულს არმსტრონგმა „დისქავერის" მთელი გუნდი შეაქო და არც ეტაპის გამარჯვებული გამორჩენია.

„ჩვენ დღეს ველორბოლის მომავალი დავინახეთ" — განუცხადა ჟურნალისტებს ლენსმა. თავად „ველორბოლის მომავალი" — ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე კი „ტურ დე ფრანსის" დებიუტანტია და ალპურ ეტაპზე გამარჯვება მართლაც დიდ წარმატებად შეგვიძლია ჩავუთვალოთ.

**ლადო ტულუკიძე**



ეტაპის გამარჯვებული ალეხანდრო ვალვერდე

AFP კურშველიდან

| მეათე ეტაპი. 12 ივლისი — გრენობლი — კურშველი. 192,5 კმ. | |
|---|---|
| 1 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილ ბალეარი) | 4 სთ. 50 წთ. 35 წმ |
| 2 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | იგივე დრო |
| 3 მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) | 09 წმ |
| 4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილ ბალეარი) | იგივე დრო |
| 5 ივან ბასო (იტალია, სი-ეს-სი) | 1 წთ. 02 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | 37 სთ. 11 წთ. 04 წმ |
| 2 მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) | 38 წმ |
| 3 ივან ბასო (იტალია, სი-ეს-სი) | 2 წთ. 40 წმ |
| 4 ქრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლე) | 2 წთ. 42 წმ |
| 5 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილ ბალეარი) | 3 წთ. 16 წმ |

# ლეკომ კრამნიკზე ვერ ირევანშა



ლეკო და კრამნიკი

## დორტმუნდის სუპერტურნირი

დორტმუნდი. გერმანია 8 - 17 ივლისი

**III ტური**

| | | |
|---|---|---|
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | არკადი ნაიდიჩი (გერმანია) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია) |
| ემილ სუტოვსკი (ისრაელი) | 0:1 | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) |

**ლიდერთა** სამეული არ შეცვლილა. არკადი ნაიდიჩი, ლუკ ვან ველი და პეტერ ჰაინე ნილსენი კვლავაც ცხრილის თავში არიან მოქცეულები და უახლოეს მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებენ.

მეოთხე ტურის ცენტრალური მატჩი ფიდეს მეოთხე და მეექვსე ნომრების, ლეკოსა და კრამნიკის შეხლა იყო.

შეგახსენებთ, რომ შარშან ოქტომბერში კრამნიკმა ლეკოსთან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიცვა და მას შემდეგ უნგრელი დიდოსტატი მუდამ რევანშის მოლოდინშია.

დორტმუნდში კრამნიკმა ლეკოსთან თამაში სიცილიური დაცვით არჩია, მესამე სვლაზე პაიკი გაუცვალა და ფლანგების განვითარებას შეუდგა. მე-9 სვლაზე უნგრელმა იერიშებს მიმართა, მეტოქეს შავი მხედარი მოუკლა და ფიგურების გაცვლა დაიწყო. თამაში ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა, თუმც საბოლოოდ დიდოსტატებმა ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს და 25-ე სვლაზე ზავი ჩამოაგდეს.

ტურნირზე პირველი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის მრავალგზის პრიზიორმა, 22 წლის ეტიენ ბარკომ. ახალგაზრდა დიდოსტატმა ებრაელ ემილ სუტოვსკის შავი ფიგურებით აჯობა.

მოჭადრაკეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. თავიდან მშვიდად დაიწყო თამაში, სისხლიან იერიშებს მოერიდნენ და ჯარის განვითარებას შეუდგნენ. ლაზიერის ფლანგზე უპირატესობას თანდათან სუტოვსკი დაეუფლა, პაიკი გაუცვალა მეტოქეს და ახალი იერიშები წამოიწყო. ბაკრომ ადვილად შეძლო მოიერიშე ებრაელის გატეხვა, საპასუხოდ ეტლებით თვითონ დაარტყა და 31-ე სვლაზე პირველი ქულა აიღო.

**ლაშა გეგეჭკორი**



25-ე სვლაზე ლეკომ და კრამნიკმა ზავი ჩამოაგდეს

| | | |
|---|---|---|
| 1 | არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 2,5 ქულა |
| 2 | პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია) | 2,5 |
| 3 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 2,5 |
| 4 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2 |
| 5 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 2 |
| 6 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2 |
| 7 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 2 |
| 8 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1,5 |
| 9 | ემილ სუტოვსკი (ისრაელი) | 1,5 |
| 10 | ეტიენ ბარკო (საფრანგეთი) | 1,5 |

# სახუმარო თამაშობანი

**ამ ქვეყნად** დრო და დრო სრულიად წარმოუდგენელი შეჯიბრებები იმართება და ზოგიერთი მათგანი ტრადიციულადაც ტარდება. დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად იმართება ფორთოხლებზე რბენა, შეჯიბრება წვიმის მატლების სწრაფად შეჭმაში, ქვანახშირით გაძეძგილი ტომრებით რბენა და ქვეყნის ღია ჩემპიონატი პუდინგის ტყორცნაში. გამარჯვებულნი პრიზად მცირეოდენ თანხას — საშუალოდ 25 ფუნტს ღებულებენ. სამაგიეროდ, ისინი დიდი პატივისცემით სარგებლობენ და მათ პაბებშიც ეპატიჟებიან.

ამერიკაშიც დაიბადა ერთი ასეთი უცნაური, სახუმარო თამაშობანი, რომლის პროგრამაშია ტალახში ხტომაც. მის ორგანიზატორებს ამგვარი ასპარეზობის გამართვა 1996 წელს მოუვიდათ თავში — ატლანტაში ოლიმპიური თამაშების პასუხად.

უფრო საინტერესო იდეა დაებადათ მადრიდის ახლოს მდებარე ქალაქ არანხუესის ხელისუფალთ. მათ წამოაყენეს წინადადება, ჩაატარონ ოლიმპიური თამაშები „მათთვის, ვინც მუშაობით წელებზე



ფეხს იდგამს“ (**CURRANTES**). შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლიათ ქვის მთლელებს, მებათქაშეებს, დურგლებს, ელექტრიკოსებს, სანტექნიკოსებს და სხვა სამშენებლო პროფესიის წარმომადგენლებს.

ეს იდეა არანხუესელ მიგელ უმანეს დაებადა. თუმცა, როგორც თავად ამბობს, ასეთი ინიციატივა კარგა ხანს არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებით არსებითი გახდა მას მერე, რაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის გამოსავლენად ბრძოლა დაიწყო.

„მათთვის, ვინც მუშაობით წელებზე ფეხს იდგამს“, შეჯიბრების გამართვა წლეულს სექტემბერშია ნავარაუდევი და მას, რაღა თქმა უნდა, არანხუესი უმასპინძლებს. პროგრამაში 20 „სახეობა“ იქნება, მათ შორის, დატვირთული ურიკით 100 მეტრზე რბოლა, ხარაჩოების სწრაფად აგება, ოთახებს შორის ტიხრების შექმნა, 10-მეტრიანი სიგრძის ტრანშეის გათხრა, სამშენებლო ჩაფხუტებისა და ჩაქუჩების ტყორცნა, ღვინით სავსე ტიკის სულმოუთქმელად გამოცლა და სხვა მისთანები.

ამ პროექტს, არა მხოლოდ არანხუესის მამანი უჭერენ მხარს, არამედ ესპანეთის მრავალი სამშენებლო ორგანიზაციაც, რომლებიც მზად არიან გულუხვად დააფინანსონ ეს უჩვეულო ოლიმპიადა.

ამ ოლიმპიადაში ახლა მხოლოდ ესპანელები მიიღებენ მონაწილეობას. წარმატების შემთხვევაში განზრახულია მისი საერთაშორისო შეჯიბრებად ჩამოყალიბება.

ესპანეთში ასეთი ორიგინალური ინიციატივის დაბადება შემთხვევითი სულაც არაა, რადგან ეს ქვეყანა ღლესდღეობით სამშენებლო მასშტაბების მხრივ პირველ ადგილზეა.



## მსოფლიოს ჩემპიონატი. მერვე ეტაპი



AFP

ნიკი ჰეიდენმა კარიერაში პირველი დიდი პრიზი სამშობლოში მოიგო

# ამერიკულ-იამაჰური დუბლი
## დოქტორ როსის მანევრი

**ათი წლის** შემდეგ მოტომრბოლთა მსოფლიოს ჩემპიონატს აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება დაუბრუნდა და პირველივე გაჯირითება ლაგუნა სეკას აღმართ-დაღმართიან ტრეკზე მასპინძელთა ტრიუმფით აღინიშნა. ეგაა, კალიფორნიაში მხოლოდ ყველაზე მძლავრი, „მოტო გრან პრის“ წარმომადგენლებმა ირბოლეს.

„სამეფო კლასის“ მოტომხედართა გაჯიბრებას 68 000 მაყურებელი დაესწრო, მათ შორის ბევრი უპოპულარულესი პიროვნება, ვთქვათ, კინოვარსკლავი ბრედ პიტი, კალათბურთის ლეგენდა მაიკლ ჯორდანი...

3,610 კილომეტრი სიგრძის წრე ყველაზე მოკლე და რელიეფის გამო ყველაზე რთულია 17-ეტაპიან კალენდარში. უკვე პირველივე წრეზე შეეჯახნენ ერთმანეთს და ბრძოლას გამოეთიშნენ სატურნირო ცხრილში მეორე და მეხუთე საფეხურებზე მყოფნი — იტალიელი მარკო მელანდრი და ბრაზილიელი ალექს ბარუში.

ბრწყინვალედ იქროლა 23 წლის კენტუკელმა ნიკი ჰეიდენმა ჯერ იყო და ყველას აჯობა კვალიფიკაციაში და „ჯადოქარ“ ვალენტინო როსის შემდეგ მოტოისტორიაში გახდა მეორე, ვინც ასე ახალგაზრდამ შეძლო პოულის მოგება.

ნიკიმ რბოლა ყველაზე წინ დაიწყო და 115-კილომეტრიან დისტანციაზე ერთხელაც არ დაუთმია მეწინავეობა. თავის 38-ე ეტაპზე მან პირველ პოულს პირველი გამარჯვებაც მოაყოლა. მანამდე ამერიკელის აქტივში მხოლოდ ოთხი მესამე ადგილი იყო.

ჩემპიონატის ლიდერი „დოქტორი“ როსი სტარტზე მეორე იყო და ამ პოზიციას ნახევარი გზა ინარჩუნებდა, მაგრამ შემდეგ თანაიამაჰელი კოლინ ედვარდსი ოსტატური მანევრით ერთ-ერთი მოსახვევში შიდა მხრიდან „გაუძვრა“ და ჩემპიონი უკან მოიტოვა. ედვარდსი თავიდან მერვე მიდიოდა, მაგრამ თანდათან გაიუმჯობესა მდგომარეობა და ფინიშთან მეორე მოიჭრა ისე, როსის ძალიანაც არ გამოუდია თავი მასპინძელი თანაგუნდელის გასასწრებად და მესამე ადგილითაც ძალიან კმაყოფილი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის წლეულს ყველაზე ცუდი შედეგია. მანამდე „დოქტორის“ ექვსი მოგება და ერთი მეორე ადგილი ჰქონდა.

ამრიგად, ამერიკელებმა შთამბეჭდავი დუბლით გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ მათ 2000 წლის მერე ერთი დიდი პრიზიც ვერ მოეგოთ.

ეს „იამაჰასთვის“ მიმდინარე სეზონში მესამე ორმაგი პოდიუმია და გუნდურ ჩათვლაში 24 ქულით უსწრებს მეორე საფეხურზე მდგომ „ჰონდას“.

მეცხრე ეტაპი 24 ივლისს დიდ ბრიტანეთში, „დონინგტონის“ ავტოდრომზე გაიმართება.

**გია ახალაძე**

**აშშ-ის დიდი პრიზი. ლაგუნა სეკა — 3610მ**

**მოტო გრან პრი — 115,5 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) | 45 წთ; 15,4 |
| 2 | კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) | ჩამორჩა 1,9 |
| 3 | ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) | 2,3 |

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 186 ქულა; 2 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) 107; 3 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) — 100; 4 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) 95; 5 ედვარდსი 93; 6 ჰეიდენი 85

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ზაგრებიდან




# მაგრები ზაგრებში

აააააჰ! და შვედი სიმაღლეზე მხტომელი კაისა ბერგკვისტი ზაგრებში მიმდინარე საერთაშორისო სამძლეოსნო გრან პრიზე ჩემპიონი გახდა. იგი ორ მეტრს გადაახტა ანუ უკრაინელ ვიკტორია პალამარს ხუთი სანტიმეტრით აჯობა. სხვათა შორის, ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდი 16 წლის წინანდელია, 209 სანტიმეტრი გახლავთ და ბულგარელ სტეფკა კოსტადინოვას ეკუთვნის.

# მაყურებელი



AFP სენტ ენდრიუსიდან

*შოტლანდიაში, სენტ ენდრიუსში, გოლფის 234-ე ღია ტურნირი მიმდინარეობს და მას გუშინ აი, ეს კაცი ესწრებოდა.*

# ექსდიდები ტაშს უკრავენ

*ამ სურათზე ყველა ყოფილია, რუსეთის პრეზიდენტიცა და ჩოგბურთელიც. თუ დაგავიწყდათ, შეგახსენებთ: ნაპრეზიდენტალს ბორის ელცინი ჰქვია, ნაჩოგბურთელარს ევგენი კაფელნიკოვი. ეს ორი პატივცემული გვამი ფედერაციის თასის ნახევარფინალში ანასტასია მისკინას და ვინუს უილიამსს თამაშს დაესწრო.*



AFP მოსკოვიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჭოხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: [illegible]
ფოტორეპორტიორები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208 ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge